მოსე გოგიბერიძე

სპინოზა

სახელგამი
ტფილისი—1927

[illegible]
12/X/27.

მოსე გოგიბერიძე

10299

სპინოზა

ტფილისი 1927.

ს. მ. უ. ხ. პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკ. № 1977— მთავ. 1230. ტირ. 1.000.

ბენედიქტეს სპინოზა

გარდაცვალებიდან 250 წლის შესრულების გამო

1. სპინოზას პროგლემა

უდავოა ის დებულება, რომ თვითოეული გენიოსი ერთი რომელიმე განსაზღვრული ეპოქის შვილია. ისტორიამ იცის კიდევ ერთი მსგავსი ჭეშმარიტება: თვითოეული დიდი ეპოქა თვითვე შობს ამ ეპოქის სახის სრულმქნელს, დიდს მოაზროვნეს ან დიდს მხატვარს. კარგს ჯიგს კარგი მეჯოგე ჰყავს, დიდ რევოლიუციას—დიდი ბელადი, დიდ ისტორიულ ეპოქას დიდი მოაზროვნე. მე-17 საუკუნე ამ კანონის ცხადყოფაა. მე-16 საუკუნის დასასრულს დასავლეთის-ბედი უცნაურად შეიცვალა. ოკეანეს, ტალღებმა გადასწყვიტეს თუ ვის ხელთ უნდა ყოფილიყო მომდინარე ბურჟაზიული ეპოქის სადავე. ესპანეთის უზარმაზარი სახელმწიფო, მფლობელი ურიცხვი კოლონიებისა, საზღვაო გზებისა და ისტორიაში მანამდე უმაგალითო ფლოტისა, პირველობისათვის ებრძოდა მთელ დანარჩენ ქვეყანას, უმთავრესად ჰოლანდიას და ინგლისს. და, 1588 წელს ესპანეთის ფლოტი, ფილიპეს „უძლეველი არმადა“, ინგლისის გასანადგურებლად მიმავალი, ჩანთქა ოკეანეს ტალღებმა. ესპანეთი მოიხსნა მსოფლიოს ბატონთა რუქიდან და ინგლისი დაეპატრონა მის უზარმაზარ ქონებას: კოლონიებს და ზღვას. ამ დღეს დაიბადა ბურჟუაზიის ცივილიზაცია, ინგლისური წესი კულტურისა. ამ დღესვე, 5 აპრილს 1588 წ., დაიბადა აგრეთვე ამ ეპოქის პირველი მესიტყვე: თომას ჰობბსი.

ასე დაიწყო ბურჟუაზიის ბატონობის ერა. მან ორი რევოლიუცია გადაიხადა ზედიზედ: ერთი ინგლისში, მეორე საფრანგეთში და ამ ორი რევოლიუციის პრინციპების წინაშე დააჩოქა არამც თუ ევროპის დანარჩენი ერები, არამედ მთელი კაცობრიობა.

რაღა მოუვიდა დასახელებული ბრძოლის დასაწყისის მე-3 ძონაწილეს, ე. ი. ჰოლანდიას? 1588 წლის შემდეგ ინგლისთან მეტოქეობა არავის შერჩენია. ჰოლანდიამ ძალიან ადრე შეიგნო ეს და ბრძოლაზე ხელი აიღო. მაგრამ მე-17 საუკუნის დასაწყისს ჰოლანდია იყო კონტინენტის უმდიდრესი, უგანვითარებულესი და ყველაზე მეტად კულტურული ქვეყანა. ჰოლანდია შეიქნა ცენტრი ახალი ეპოქის, ახალი სიტყვის, თავისუფლების და მოქმედების. ამსტერდამი არამც თუ ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო მთელი მსოფლიოსათვის, არამედ იგი გადაიქცა ნავთსაყუდელად ყველასთვის, ვინც კი მსოფლიოს რომელიმე კუთხეში თავისუფლებას დაეძებდა. სქოლასტიკამ და ეკლესიამ მე-16 საუკუნეში განიცადეს რა უკანასკნელი იდეური გაკოტრება, ხელი მოჰკიდეს უხეშ ძალას და საზღაპრო რეპრესიების საშუალებით შეეცადენ თავის შავი ავტორიტეტის შენარჩუნებას. და სწორედ ამ დროს ჰოლანდია იყო ბუდე დევნილების და თავისუფალ მოაზრეებისა.

ყველა ის დიდი წიგნი, რომელიც მე 16 საუკუნის დასასრულს და მე-17-ში ევროპის ხალხებმა დასწერეს, ჰოლანდიაში იბეჭდებოდა. ჰოლანდია იყო „არალეგალური“ სტამბების და აკრძალული წიგნების ქვეყანა. ვისაც

ახალი სიტყვის თქმა სურდა, ახალი აზრის გავრცელება, ის თავის სამშობლოდან ჰოლანდიაში უნდა გადასახლებულიყო. მაგრამ მე-17 საუკუნის ჰოლანდია მარტო უცხოელთა თავშესაფარი არ იყო. მან მე-17 საუკუნეში ამოსწურა თავისი თავი და კაცობრიობას მისცა სამი უდიდესი გენიოსი: ჰუგო გროციუს, ფან-რინ რემბრანდტ და ბენედიკტუს დე სპინოზა.

* * *

მიმდინარე წლის თებერვალში 250 წელი შესრულდა სპინოზას გარდაცვალების დღიდან. მოაზროვნე კაცობრიობამ განსაკუთრებით აღნიშნა ეს დღე. ამ დღისათვის ჰაიდელბერგის სამეცნიერო აკადემიამ გამოსცა სპინოზას ნაწარმოებთა სრული კრებული. ევროპის ფილოსოფიურმა ჟურნალებმა სპეციალური ნომრები უძღვნეს სპინოზას მოძღვრებას. საბჭოთა კავშირმაც განსაკუთრებით აღნიშნა ეს გარემოება; აქაც რამდენიმე სპეციალური ხასიათის ჟურნალი მიეძღვნა სპინოზას დღესასწაულს.

250 წელია რაც კაცობრიობა კამათობს ამ უდიდესი რაციონალისტის ნააზრების გარშემო; სხვა და სხვა ეპოქა სხვა და სხვა ნაირათ აფასებს სპინოზას. ზოგი მას „ათეიზმის მეფედ“ და მატერიალიზმის მესიტყვედ აცხადებს, ზოგისათვის სპინოზა რელიგიისა და იდეალიზმის სრულმქნელია. ერთი სიტყვით, არც ერთი მოაზროვნის გარშემო არ გამოთქმულა იმოდენა საწინააღმდეგო მოსაზრება, როგორც სპინოზას შესახებ ხდებოდა და ხდება. მე-17 საუკუნე სპინოზაში ხედავდა „უსაშინელეს ათეისტს“,

„უსაზიზღრეს ღვთის მგმობელს, ურიას“ და ყოველივე „მორალის შეურაცმყოფელს“. ერთი პატივცემული თეოლოგი ისე შორს წავიდა, რომ სპინოზაში „ხორცშესხმული სატანა“ დაინახა,—ისე როგორც ქრისტეში ღვთაებამ ხორცი შეისხა და ადამიანის სახით მოვლინდა, თურმე ასევე სპინოზას სახით ეშმაკი შესისხლხორცებულა და ქვეყნის მაცდურათ გადმოვლენილა. აბა როგორ არ აამხედრებდა ის სპინოზა მართლმორწმუნეთ და „მორალისტებს“, რომელმაც თურმე ყურანი და სახარება ერთ ტომად აკინძა. სპინოზას რადიკალიზმი და თავისუფლების მოტრფიალე ბუნება შედარებით თავისუფალი ჰოლანდიის სახელმწიფოსათვის აუტანელი აღმოჩნდა და მთელი საუკუნის განმავლობაში მისი ნაწერების გამოცემა და გავრცელება მთავრობის განსაკუთრებული კანონის ძალით სასტიკად იყო აკრძალული.

თვით ისეთი უდიდესი გენიოსიც ამ ეპოქისა, როგორიც იყო ლაიბნიცი, იმდენად უტიფარი და წვრიმანი გამოდგა ამ დარგში, რომ ყოველ ღონისძიებით მალავდა ერთ დროს სპინოზასთან დამეგობრებას და მიწერ-მოწერას. ერთი სიტყვით, კლერიკალებმა სავსებით მიახწიეს იმას, რომ მე-17 საუკუნის მოქალაქეს სპინოზას სახელთან ერთად შავი ჭირი აგონდებოდა. მე-18 საუკუნის დასაწყისშიც კი სპინოზა იყო „გონების მკვლელი“ და „სულელთა მესიტყვე“; მაგრამ დიდი გენიოსის ნააზრევი არ შეიძლებოდა ხანგრძლივად დაეჩრდილა კლერიკალების ზიზღს. სპინოზა მთელი მე-17 და მე-18 საუკუნეთა მანძილზე მაგალითი და ლამპარი იყო თვითოეული ახალი აზრის, ახალი საქმისა და თაობის.

დიდი ლესინგი იყო ის კაცი, რომელმაც პირველად გაბედა და სპინოზას ფილოსოფია თავის სიმაღლეზედ მოათავსა. ლესინგიდან იწყება სპინოზიზმის რენესანსი. ამიერიდან აღარც ერთი დიდი თეორიული თუ რელიგიური ბრძოლა აღარ გამართულა, რომ სპინოზას სახელს იქ მონაწილეობა არ მიეღოს. სპინოზისტად გრძნობდა თავის თავს მე-18 საუკუნის უნივერსალური გენიოსი გიოთე. გერმანელი დიდი იდეალისტების კონცეპციების ჩამოყალიბებაში სპინოზამ უდიდესი როლი ითამაშა. ჰეგელის პანლოგიზმში ადვილი ამოსაკითხია სპინოზას აბსოლიუტური რაციონალიზმი. რომანტიკოსებმა სპინოზა თავიანთ იდეალიზმისა და რელიგიოზობის მამამთავრად გამოაცხადეს. მე-18 საუკუნის მატერიალისტები თავიანთ თავს სპინოზისტებათ გრძნობდენ. ლ. ფოიერბახმა სპინოზა ახალი დროის მატერიალიზმის მეთაურად სცნო. მარქსისტები სპინოზაში თავიანთ ფილოსოფიურ წინაპარს ხედავენ. ერთი სიტყვით, დავა სპინოზას შესახებ დღემდე არ შეწყვეტილა. ამ ერთი წლის წინათ გაცხოველებული კამათი და ნამდვილი ხელჩართული ბრძოლაც კი გაიმართა სპინოზას მოძღვრების ინტერპრეტაციის საკითხებში რუსს მარქსისტებს შორის. ამიტომ გვგონია, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ჩვენს აზრსაც გავუზიარებთ მკითხველს სპინოზას შესახებ. ამის უფლებას გვაძლევს ჩვენ ის გარემოება, რომ, როგორც საქმეში ჩახედული მკითხველი დაინახავს, ამ პატარა წიგნაკში ზოგი საკითხის შესახებ სპინაზა ლიტერატურაში ჯერ საესებით უცნობი ინტერპრეცია არის მოცემული.

2. სპინოზას ბიოგრაფია

ბარუხ სპინოზა ჩამომავლობით იყო ესპანელი ებრაელი. დაიბადა 24 ნოემბერს 1632 წ. ქ. ამსტერდამში. მიიღო მკაცრი რელიგიური აღზრდა, მშობლები ამზადებდენ მას რაბინის წოდებისათვის. ამიტომ ახალგაზრდა სპინოზას სულიერი საზრდო იყო ძველი ტექსტამენტი, თალმუდი და კაბალაჰ, შემდეგ—ებრაელთა თეოსოფები, განსაკუთრებით, რასაკვირველია, მაიმონიდეს. სპინოზას მასწავლებელი იყო თალმუდის სახელგანთქმული მცოდნე მარტეირა. თალმუდის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი იყო ყოველმხრივი დახელოვნება ცარიელი სიტყვების ჭიდაობაში, სოფისტიკაში და რაბულისტიკაში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა სპინოზაში კრიტიკული უნარის განვითარებას. საბედნიეროდ ამ დროს სპინოზა შეხვდა ერთს ჰუმანისტურად განათლებულ და თავისუფლად მოაზროვნე ექიმს. ამ ექიმმა შეასწავლა მას ლათინური ენა. სპინოზას გენიალური ბუნების წინ გადაიშალა ახალი ქვეყანა. ის შეიქნა დეკარტის ფილოსოფიის და გალილეის მეცნიერების მიმდევარი. სპინოზას მკაცრმა ლოღიკურმა გონებამ ხელად გააკეთა შესაფერი დასკვნა: მისთვის ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო ერთი მხრით ახალი დროის ბუნებათმეცნიერებითა და ფილოსოფიით აღფრთოვანება, და მეორე მხრით კი—ებრაული სინაგოგის წევრობა. სპინოზამ მალე შეატყობინა სინაგოგას მეთაურებს, რომ ის გამოდის ებრაელთა მრევლიდან. ამ ამბავმა უსაშინელესი აღშფოთება გამოიწვია

ამსტერდამელ ებრაელთა შორის. სპინოზას შეაძლიეს დიდი ქრთამი. ამით რომ ვერას გახდენ, მიუგზავნეს მკვლელი. ბედმა არც ეს ისურვა, მაშინ 27 ივლისს 1656 წ. 23 წლის სპინოზა შეაჩვენა ებრაელთა სინაგოგამ და თავის წრიდან განდევნა. სპინოზასაც, რასაკვირველია, ეს უნდოდა. ამ დღიდან მან გამოიცვალა თავისი ებრაული სახელი „ბარუხ“ და დაირქვა ბენედიკტე. ეს ქრისტიანული სახელი, რასაკვირველია, ქრისტიანულ რელიგიასთან დაახლოვებას არ ნიშნავდა. სპინოზა განშორდა ყოველივე რელიგიას და ამიერიდან მას დარჩა ერთი რწმენა და ერთი საქმე: რწმენა მეცნიერული გონების ძლიერებისა და წყურვილი საკუთარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა.

მალე სპინოზა გადასახლდა ერთ პატარა დაბაში და დაიწყო მსოფლიო ბრძენისთვის შესაფერი წყნარი ცხოვრება. 1663 წ. მეგობრების რჩევით სპინოზამ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი, რომელიც დეკარტის ფილოსოფიის პრინციპების დალაგებას შეეხებოდა, ხოლო 1670 წ. გამოაქვეყნა მისი პირველი დიდი ნაშრომი: „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი“. რადიკალურმა აზრებმა, რომელიც ამ შრომაში იყო თავმოყრილი, სპინოზას გადაჰკიდა მთელი ქვეყნის კლერიკალები; სპინოზას წიგნში დაინახეს უსაშინლესი ღვთის გმობა, ამბოხების და ყაჩაღობის ქადაგება—სატანას მოციქულობა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ. ამიტომ თავისი მთავარი ნაწარმოების „ეთიკის“ გამოქვეყნება სპინოზამ თავის სიცოცხლეში ვერ მოახერხა. ის გამოსცეს მისმა მეგობრებმა მის სიკვდილის შემდეგ.

სპინოზა იყო იშვიათი ნებისყოფის და სპეტაკი ბუნების კაცი, ურადიკალესი მოაზროვნე თავისი ეპოქის და უდიდესი მოტრფიალე თავისუფლების. 1673 წ. მან მიიღო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის ფაბრიციუსისაგან წერილი. სპინოზა მიწვეული იყო ჰაიდელბერგის სახელგანთქმული უნივერსიტეტის ფილოსოფიის ორდინარ პროფესორად. ფაბრიციუსი ატყობინებდა სპინოზას: „თქვენ გექნებათ ფილოსოფოსობის სრული თავისუფლება და მეფე იმედოვნებს, რომ ამას თქვენ საქვეყნოდ ცნობილ რელიგიის საწინააღმდეგოთ არ მოიხმართ“. იმ დროისათვის ასეთ ლიბერალურ პირობის მიუხედავათ, სპინოზამ უარი განაცხადა პროფესორობაზე და ფაბრიციუსს მისწერა, რომ მას არ შეუძლია ფილოსოფოსობის თავისუფლება ისეთ საზღვრებში მოაქციოს, რომელიც რელიგიას გმობის საშიშროებისაგან უზრუნველჰყოფდეს.

სპინოზა გარდაიცვალა 21 თებერვალს 1677 წელს.

3. სპინოზას ფილოსოფიის ამოსავალი სათავეები

ვისაც სურს სპინოზას სისტემატიურ ნააზრებში გზა გაიკაფოს, მან მხედველობიდან არ უნდა გაუშვას ერთი გარემოება: სპინოზას სისტემის ამოსავალი წერტილი არის პრაქტიკული. თვითონ სისტემის შინაგანი კონსტიტუცია და ამ დებულებას თითქოს პარადოქსონის სახეს აძლევს. სისტემა ჩამოყალიბებული mos geometricus—მკაცრი მა-

თემატიკური დედუქციების მეთოდით, ანოეტური და აკოსმიური, რაციონალისტური დოქტრინის აბსოლიუტურ გამართლებით, აბა როგორ უნდა შეეგუოს პრაქტიკის ეთიკურ მოთხოვნილებებს, ადამიანისათვის მოქმედების და თავისუფლების მინიჭების საქმეს! საქმე სწორედ იმაშია, რომ სპინოზას მკაცრი ნატურალისტურ-რაციონალისტური თეორეტიკა მისი ეთიკის პრაქტიკული თავისუფლებისათვის არის აშენებული. თეორეტიკა, ემსახურება პრაქტიკას, და არავითარი შემთხვევა არ არის ის გარემოება, რომ სპინოზას მთავარ ნაწარმოებს, წმინდა დედუქტიური თეორიის ამ ბროლის ციხეს, სახელად „ე თ ი კ ა“ ჰქვიან.

სპინოზა, როგორც მოაზროვნე, პირმშო შვილია თავისი პირობების და თავისი დროის. როგორც ინდივიდუმმა, მან თავი განითავისუფლა თალმუდისტების ფატალისტური მისტიკისაგან, ამიტომ ცხადია, ამიერიდან თავისუფლება უნდა ყოფილიყო მისი არსების ცენტრალური მომენტი. ებრაული რელიგიური დოგმატიკა გაშლილი იყო ორ მოურიგებელ კონტრაპუნქტს—ღმერთისა და ადამიანის შორის: დ რ ა კ ო ნ უ ლ იეჰოვას სახელმწიფოში ადამიანი იყო ბედისწერის (ამ შემთხვევაში მას ღვთის კანონს უძახოდენ) უსიტყვო მონა. და როცა სპინოზამ დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ ამ მონობას თავი დაახწია, მას, ცხადია ახალი მდგომარეობისათვის თეორიული გამართლებაც უნდა გამოენახა. სინაგოგური მონობისათვის რელიგიური დოგმა იძლეოდა თეორიულ გამართლებას. მაგრამ სადღა უნდა მოენახა სპინოზას გა-

მართლება თავისი ახალი ნაბიჯისათვის? შეიძლება ქრისტიანულ რელიგიაში? სპინოზამ ეს გზა არ აირჩია. მან გულახდილათ განაცხადა, რომ მას არაფერი არ ესმის ახალი ტესქტამენტის, ე. ი. მას არ ესმის ვითომ ახალი რელიგია სჯობდეს ძველს.

იმ დროინდელი ობიექტური პირობების მიხედვით სპინოზას წინ იყო ორი ახალი და უაღრესად რევოლიუციონური ძალა: გალილეის ბუნებათმეცნიერება და დეკარტის ფილოსოფია. სპინოზა შეეცადა ამ ორ მოძღვრებაში მოენახა თავისუფლების გამმართლებელი პრინციპები.

ეს არის ერთი ნაკადი სპინოზას თავისუფლების ფილოსოფიაში. მეორე ნაკადი ამაზე უფრო ობიექტიურია. ის განსაზღვრავს სპინოზას, როგორც იმ დროინდელ ჰოლანდიელ მოქალაქეს. მე-17 საუკუნის ჰოლანდია აყვავებული და მდიდარი ქვეყანა იყო. ახლად აღმოცენებულ ბურჟუაზიულ ცივილიზაციას აქ მოეშენებინა თავისი პირველი ბაღი, და მაშინდელ ჰოლანდიაში ყველაზე ადრე ამოვიდა ბურჟუაზიული კულტურის უფასო დამატებაც: ინდივიდუალური თავისუფლების იდეა. თავისი შინა-სოციალური რაობით ეს თავისუფლება, რასაკვირველია, ვაჭრობის თავისუფლების უზრუნველყოფას და ინგლისელების ბატონობისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა, მაგრამ ფილოსოფიური რეფლექსია სოციოლოგიური საფუძვლის სიმდაბლეზე არ დადის, მას თავისი საკუთარი რეფლექსიური არე აქვს; მხოლოდ ამ არეში შეუძლია მას ფრთების გაშლა და მოქმედების დაწყება.

და სპინოზას აზროვნებაშიც ამ თავისუფლების რეფლექსებს უნდა მოენახა თავისი გამართლება.

ამიტომ ობიექტიური გარემოების მიხედვითაც თავისუფლების რეფლექსი სპინოზას ნააზრევის ცენტრში უნდა მოქცეულიყო. და ასეც მოხდა; სპინოზას „ეთიკა“ თავისუფლების გამართლებას ემსახურება. სპინოზას, როგორც კლასიკოსს, თავისუფლება ესმის მისი დიალექტიური ნახევრის, ე. ი. აუცილებლობის არ დავიწყებით და სწორეთ მთელი „ეთიკის“ მიზანია აუცილებლობიდან თავისუფლების გამოკვეთა. თუ დამტკიცებულია, რომ ადამიანი თავისუფალია, თუ ეს თავისუფლება განმტკიცებულია აუცილებლობასთან საერთო და სადაო საკითხების მორიგების გზით—მაშინ მიღწეულია ფილოსოფიის უდიდესი იდეალიც—ადამიანის ბედნიერება.

და აქ სპინოზას გზა წარიმართა სწორედ ისე, როგორც ამავე პრობლემების სფეროში ძველი კლასიკები მოიქცნენ. ეპიკურმა, მაგ., დემოკრიტის ატომისტური ფიზიკა იმიტომ განიმეორა, რომ ამ გზით ადამიანის წარმოდგენის არე ცრუ ძალების გავლენის და ცრუ რწმენის ბატონობიდან გაენთავისუფლებია და ადამიანისათვის მიენიჭებია ის, რაც უპირველეს ყოვლისა, ადამიანურია: ბედნიერება და სიამოვნება.

ასეთია სპინოზას გზაც. ადამიანის დანიშნულებაა, რათა ნათელჰყოს მისი ადამიანური ბუნება; ამას ხელს უშლის სხვადასხვა აფექტები. ამიტომ ეთიური მოქმედების მიზანია აფექტების ხელიდან თავის დახწევა. „ადამიანის თავისუფლება“ და „ინტელექტის ძლიერება“ ერთი

და იგივე ცნებაა. ინტელექტი გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ აფექტები. აფექტების დაძლევა კი ეთიკური მოქმედებაა, ამიტომ სპინოზას ეთიკა ბოლოს და ბოლოს ნატურალისტური ფსიქოლოგიის ერთერთი ნაწილია. ასე იწყება გზა სპინოზას თეორიისაკენ. „ინტელექტის ძლიერება“, რომ განმტკიცდეს და ქვეყნად სულიერი სიმშვიდე ანუ სიკეთე დამყარდეს, ამისთვის ინტელექტმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი უნივერსის მიმართ. ამიტომაა რომ ფორმალურად თეორეტიკა წინ უსწრებს პრაქტიკას, შინაარსეულად კი პრაქტიკას ემსახურება თეორეტიკა. როგორიც თეორია გაქვს, ისეთივე იქნება შენი პრაქტიკაც; არ შეიძლება გწამდეს ალქაჯების არსებობა და მასთან ერთად კოპერნიკის კანონიც!

სისტემატიურის მოსაზრებით ფილოსოფოსისათვის პირველია თეორეტიკა. თვითონ სპინოზას აზროვნებაზე ნათლად მტკიცდება ამ დებულების სიძლიერე. მთავარი სადაო საკითხი სწორედ რომ სპინოზას თეორიული ფილოსოფიის რაობას შეეხება.

როგორია სპინოზას თეორია, როგორც სისტემა?

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ებრაული რელიგიური დოგმის უკუგდება სპინოზაში შემუშავდა კარტეზიანული ფილოსოფიის გაცნობისა და მე-17 საუკუნის ბუნებათმეცნიერების შესწავლის შემდეგ. თავისი საკუთარი სისტემის ჩამოყალიბების წინ სპინოზასთვის აუცილებელი იყო ამ ორი წყაროდან გამომდინარე შედეგების ან სავსებით მიღება, ან მათი კრიტიკა. რომ დეკარტის ფილოსოფია მომწიფებულ სპინოზას აღარ აკმაყოფილებს, ეს უდავოა.

ხოლო თუ როგორ განწყობილებაში რჩება ის მისი დროის ბუნებათ-მეცნიერებასთან—ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ცნობილია, რომ მე-16—მე-17 საუკუნეებში ევროპის ხალხების დიდ მატერიალურ აღორძინებასთან ერთად წარმოიშვა ის დარგი ცოდნისა, რასაც ჩვენ ზუსტი მეცნიერების სახელით ვიცნობთ. ახალ ბუნებათ-მეცნიერებას ახასიათებდა ორი რამ: ქვანტიფიკატიური მეთოდი და მექანიკური არქიტექტონიკა. ე. ი. მთელი მსოფლიო და მასში მიმდინარე მოვლენები წარმოდგენილი იყო, როგორც ერთი ვებერთელა, დასაბამიდან მოწყობილი მექანიზმი, რომელიც მოქმედებდა მკაცრი კავზალური კანონების მიხედვით და რომელშიაც მოვლენათა ტრანსფორმაციები და სხვადასხვაობა, გამოწვეული იყო დაგვარი ელემენტების რიცხობრივი სხვადასხვაობით. მატემატიკური კანონის საშუალებით გონება ანგარიშობდა ბუნების მოვლენებს და ბუნების მოვლენებში ამავე ანგარიშს უხმოდ და უკამათოთ ემორჩილებოდენ, ან, დიდი გალილეის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს ასე ხდებოდა იმიტომ, რომ ბუნების დიდ წიგნში ჭეშმარიტება მათემატიკური ანბანით იყო ჩაწერილი.

გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მე-17 საუკუნის თვითოეული დიდი მოაზროვნე არამც თუ გავლენას განიცდიდა ამ ახალი მექანისტური მსოფლგაგების, არამედ თვით იყო ამ მექანიკის ერთ-ერთი ბორბლის არქიტექტორი. აქ ჩვენ გვჭირია ეს დებულება თავდაპირველად გამოვსცადოთ დეკარტის მიმართ. დეკარტი ახალს

ფილოსოფიაში იდიალიზმის მამამთავარი — ერთის მხრით, მეორეს მხრით ის იყო ბუნებით მეცნიერული მექანიზმის და მატერიალიზმის მნიშვნელოვანი მესიტყვე. ფილოსოფიის ისტორია იცნობს დეკარტს, როგორც იდიალიზმის მამამთავარს, მაგრამ მეცნიერების ისტორია დეკარტს იცნობს არა მარტო როგორც ანალიტიური გეომეტრიის შემომქმედს, არამედ, როგორც ისეთს ბუნებისმეტყველსაც, რომელმაც მექანისტური და მატერიალისტური მეთოდი გაატარა ბუნების ცოდნის თითქმის ყველა დარგში. დეკარტის ფიზიკა მკაცრი მატერიალისტურია. ზეციურ მექანიკის გვერდით ის მიწის მექანიკასაც აყალიბებს და იმდენს შორსმჭვრეტელობას იჩენს, რომ მატერიის გვერდით ცალიერი სივრცის არსებობას უარჰყოფს. დეკარტი ის კაცია, რომელმაც მექანისტური მეთოდი ანორგანული ბუნებიდან გადაიტანა ორგანიულზე. ის შემქნელია ნერვების ფიზიოლოგიის მექანიკისა. მექანიკურად არის ნაშენები ანორგანული ქვეყანა, მექანიკურია ორგანულიც, უპირველეს ყოვლისა—მცენარეთა სამეფო. მექანიკაა აგრეთვე ცხოველთა სამეფოც, ცხოველი არის მანქანა—აცხადებს დეკარტი—და ამ მანქანას აქვს აზროვნების უნარი. რა უნდა მოჰყოლოდა ამ გაბედულ ნაბიჯებს? ცხადია, უკანასკნელი ნაბიჯი: ადამიანის სულის მექანიკა. მაგრამ აქ დეკარტი შეჩერდა (ჩვენ ვერ გამოუდგებით მიზეზებს), მაგრამ მან განაცხადა, ადამიანი მანქანა არ არის, და არც მექანიკის კანონებს ექვემდებარებაო. აქ იწყება დეკარტის ფილოსოფია, მისი მეტაფიზიკა.

ადამიანის სულში არ არის მექანიკა, არამედ ეს სუ-

ლი ცნობიერებაა, ხოლო ფილოსოფია არის სიბრძნე ცნობიერების შასახებ. ასე წარმოიშვა დეკარტის ცნობიერების იდეალიზმი. ის ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მან ადამიანი ვერ მოაქცია ბუნების საერთო წიაღში. ეს არის სათავე კარტეზიანული მეტაფიზიკის. ამ მეტაფიზიკამ მოგვცა არამც თუ გაორება, არამედ გასამებაც იმ მთლიანი ერთი სათავისა, რომელსაც დეკარტის ფიზიკაში კორპუსკულარი თეორია ანვითარებდა. დეკარტმა—ფილოსოფოსმა ქვეყნიერება სამი სუბსტანციის მიერ ნაშენ უნივერსად წარმოიდგინა.

აქ იწყება სპინოზას საქმე. სპინოზამ უარჰყო დეკარტის მეტაფიზიკის სამი სუბსტანციის თეორია და პრინციპიალურად აღადგინა ისეთი, რომელიც დეკარტის ბუნებათმეცნიერების სათავე იყო. ამაში იყო უპირველეს ყოვლისა ნატურალისტური სიძლიერე. სპინოზას რეფორმის. სპინოზას ორგინალობა კი იმაშია, რომ დეკარტი მეტაფიზიკის რეფორმა მან ჩაატარა, არა დეკარტის მექანისტური ფიზიკის მეთოდების უბრალო რესტავრაციის გზით, არამედ იმ ახალი ფილოსოფიურ-მეთოდიური საშუალებით, რომლის პირველი გზები პირველად დეკარტის ფილოსოფიამ უჩვენა.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ აზროვნების ისტორია ორ დეკარტს იცნობს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი დეკარტია რაციონალისტი? ცხადია, რომ დეკარტი ბუნების მეტყველი, ის დეკარტი, რომელიც per rationes mechanicas აზროვნობს. სპინოზამ უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ეს რაციონალიზმი, მაგრამ მან მოიმოქმედა ეს იმ დრომდე

რაციონალიზმისათვის თითქმი უცნობ, განყენებულ ცნებების ენაზე. ამან გამოიწვია შიში სპინოზას ფილოსოფიის გაუგებრობისა. სპინოზას აბსოლიუტური რაციონალიზმი ვითომც ვერ ეგუება მისი მსოფლმხედველობის ნატურალიზმს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაციონალიზმი ნატურალიზმის გზით მიდიოდა დეკარტის ნააზრევში და თავისი პირვანდელი გაგებით სხვას კი არაფერს ნიშნავდა გარდა სინამდვილის მოვლენების რიცხვისა და გეომეტრიის კანონების მიხედვითი ანგარიშისა.

ეს რაციონალიზმი ერთნაირად ახასიათებდა როგორც გალილეის, ისე რაციონალისტ-ფილოსოფოსებს და, მათ შორის, თავდაპირველად დიდ მატერიალისტს ჰობბს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს რაციონალიზმი იყო მატერიალისტური. ყოველ შემთხვევაში ის მექანისტური იყო, და ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში სიტყვა „მექანისტი“ უდრიდა სიტყვას „მატერიალისტი“.

4. სპინოზას სისტემის ონტოლოგიური საფუძველი

დეკარტის პირველი ფილოსოფიური საკითხი უსათუოდ გნოსეოლოგიური იყო. მეთოდიური შეეჭვების და მასთან დამოკიდებული ჭეშმარიტების ძიების თეორია წმიდა გნოსეოლოგიური საკითხია, ამიტომ დეკარტის პირველი პასუხი, მისი პირველი ამოსავალი, ან გასავალი, cogito ergo sum, შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ გნო-

სეოლოგიურად. დეკარტის ფილოსოფიის მისავალი კი არის სუბსტანციის მეტაფიზიკა; დუალიზმი და შინაგანი გაორება, რომელიც ახასიათებდა დეკარტის მთლიან ნამოქმედარსა და ნააზრევს, ყველაზე ნათლად სუბსტანციების მოძღვრებაში იჩენს თავს. დეკარტი, რომელიც ფილოსოფოსობის დასაწყისს 2+2=4-ის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანით იწყებდა, ფილოსოფოსობის დასასრულს სამ ტოტალურ და მარად რაობას ღებულობს. ეს არის მისი სამი სუბსტანცია: ღმერთი, აზრი და განფენილობა.

სულ სხვა არის სპინოზას გზა. სპინოზა ფილოსოფიას გნოსეოლოგიიდან არ იწყებს. იმის სისტემაში გნოსეოლოგია არ არის prima philosophia. სპინოზას სისტემის დასაწყისი იმ პრობლემათა არეში ტრიალებს, რომლებითაც დეკარტეს ფილოსოფოსობის კარების დახურვა სურდა. სპინოზას პირველი პრინციპი, ე. ი. causa sui წმიდა ონტოლოგიური ცნებაა. ამან, რასაკვირველია, ხელი არ უნდა შეუწყოს იმ ყოვლად ყალბისა და ტენდენციური შეხედულების გავრცელებას, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში კანტიანელებმა თითქმის მოდათ გადააქციეს, ე. ი. იმ შეხედულების, რომელიც ამტკიცებდა, ვითომც სპინოზას გნოსეოლოგიის გაგების უნარი აკლდა. პირიქით, ჩვენ ვნახავთ, რომ რაციონალიზმის მთელი ეპოქის გნოსეოლოგიური ცდების დამსრულებელი სწორედ რომ სპინოზაა, მაგრამ ის მხოლოდ იმიტომ იწყებს ონტოლოგიით და არა გნოსეოლოგიით, რომ მისი ფილოსოფია მთელი თავისი აღნაგობით მოფიქრებულია დეკარტის სისტემის გასასწორებლად. სპინოზას აზრით

ფილოსოფოსობის დაწყებისათვის უნდა ჰქონდეს ისეთ მტკიცე პრინციპი, რომელიც სკეპტიკური cogito-დან კი არ გამომდინარეობდეს, არამედ ამ „cogito"-საც არსებობის უფლებას ანიჭებდეს. „Cogito"-ს კრიტერიუმი ბოლოს და ბოლოს მაინც ის ადამიანია, რომელიც ცდება, ამიტომ სულ ადვილია, რომ რაც ჩვენ ჭეშმარიტების თეორიის სახით გვაქვს, სინამდვილეში მცდარობის სისტემა იყოს.

ნამდვილი ჭეშმარიტება კი სპინოზას გაგებით არის norma sui et falsi. ასეთი ჭეშმარიტების უტყუარი კრიტერიუმი კი ის დებულება არის, რომლითაც იხსნება „ეთიკა": „მიზეზი თავისი თავისა, ჩემი გაგებით, არის ის, რომლის არსება მისსავე არსებობას ჰგულისხმობს, ანუ ის, რომლის ბუნება მხოლოდ არსებულად შეიძლება იქნას შემეცნებული". ამ რიგად ეს causa sui--მიზეზი თავისი თავისა—არის ის პირველი პრინციპი ფილოსოფოსობისა, რომელიც ამბობს: რ ა ი მ ე ა რ ს ე ბ ო ბ ს, ა რ ს ი ა რ ი ს.

ყოველი დროის იდეალიზმი თავის საქმეს არსის არსებობაში შეეჭვიანებით იწყებდა, ან და, თუ ასე შორს არ წავიდოდა, ყოველ შემთხვევაში ამტკიცებდა, რომ არსი თავის არსებობას მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობს, როცა აზრი მოვა და მას ამის შესახებ ცოდნას მიანიჭებს. აქედან გამომდინარეობს აზრის პირველობის თეორია. სპინოზა შეგნებულად იწყებს არსის პირველობით, ე. ი. ის იდეალიზმის საწინააღმდეგოთ რეალისტია; ქვევით ჩვენ ვნახავთ, რომ ეს ონტოლოგიური რეალიზმი ნაკარნახევი იყო სპინოზას ნააზრევის მექანისტურ-მატერიალისტური საფუძვლებიდან.

არსი ერთია და ამიტომ არის, რომ პირველი პრინციპი, ე. ი. ის, რაიც causa sui შინაარსეულად არის, არის ერთი სუბსტანცია, ანუ ღმერთი, ანუ ბუნება. აქედან ცხადია, რომ სპინოზასათვის შეუძლებელია დეკარტეს სამ სუბსტანციანობის დატოვება. ის ღებულობს ერთს სუბსტანციას. სუბსტანცია არის causa sui-ის გაშინაარსიანება.

Causa sui შინაარსისგან გაცლილი ცნება იყო, სუბსტანცია ამზადებს მას შინაარსის მისაღებად, მაგრამ რა გვარია თვით სუბსტანცია? რა არის მისი შინაარსი? სუბსტანცია, ღმერთი, ანუ ბუნება, ერთი და იგივეა. ეს ღმერთის ცნება აქ გაუგებრობის გამომწვევია. ამ ცნებამ გამოიწვია სპინოზას თეოლოგიურ სამოსელში გამოხვევის შესაძლებლობა. მაგრამ ვისაც აქ რაიმეს გაგება სურს და სინათლეზე გამოსვლა ეხალისება, იმან ჩემის აზრით სპინოზას „ეთიკაში", იქ, სადაც სიტყვა „ღმერთი" სწერია, სიტყვა „ბუნება" უნდა ჩასწეროს *).

*). ვინ იცის, შეიძლება სპინოზას ეთიკის დედანში არც კი წერებულა სიტყვა ღმერთი. (სპინოზას ერთმა უკიდურესმა მოწინააღმდეგემ მის „დასამცირებლად" პირველად გამოსთქვა ასეთი აზრი.) „ეთიკა" გამოვიდა ავტორის სიკვდილის შემდეგ და თუ გავიხსენებთ იმ დროინდელ პირობებს და სპინოზას ათეისტობის გაშემო შექმნილ ვაი-ვაგლახს, მაშინ ყოველი ასეთი შესაძლებლობა დან საშვები იქნება. სპინოზას „ეთიკის" გამოცემის ისტორიის შესახებ ჩვენ ხომ ვიცით დიდათ დამახასიათებელი გარემოება. მან ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს მოამზადა თვისი მთავარი შრომა დასაბეჭდათ. სტამბაშიაც მიიტანა, მაგრამ რა ბედი ეწვია მას, ამის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ინგლისის სამეცნიერო აკადემიის სეკრეტარ-ოლდენბურგისადმი მიმართულ წერილიდან: „როდესაც მე წიგნის და

აი ორი უძლიერესი არგუმენტი ამის დასამტკიცებლად. პირველი: მართლაც, მთელს „ეთიკაში“ სიტყვა „ღმერთი“ სიტყვა „ბუნება“-დ, რომ შესცვალოთ, ამით „ეთიკის“ აზრის წაკითხვა ოდნავადაც არ შეიცვლება. მაგრამ წაშალეთ მთელს „ეთიკაში“ სიტყვა ბუნება, ამოიღეთ ეს სიტყვა natura—სპინოზას ლექსიკონიდან და ნახავთ, რომ „ეთიკის“ გადამწყვეტი პარტიები გაგების უფლებას დაჰკარგავენ. მაგალითისათვის აიღეთ „ეთიკის“ მესამე ნაწილის ფრიად საინტერესო შესავალი. აი რას ვკითხულობთ იქ: „ბუნებაში არაფერი არ ხდება ისეთი, რაიც მას შეცდომით მიეწერებოდეს. მართლაც, ბუნება ყოველთვის ერთი და იგივეა და მისი საქმიანობა და ძლიერება ყოველგან ერთი და იგივე რჩება; ეს ნიშნავს შემდეგს: ბუნების ის წესები და კანონები, რომელთა მიხედვით ყველაფერი მიმდინარეობს და ფორმას იცვლის, ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივენი არიან“ და სხვ. რას ნიშნავს ეს? ძალიან უბრალო ამბავს. ეს გახლავთ ფილოსოფიურ ენაზე გადმოცემა იმ უბრალო (და

ბეჭდვის სამზადისში ვიყავი,—სწერს სპინოზა—ყოველგან ხმები გაავრცელეს, რომ სტამბაში არის ჩემი ახალი წიგნი ღმერთის შესახებ, რომელშიაც მე ვამტკიცებ, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს“, თეოლოგები დაირაზმენ ჩემ წინააღმდეგო,—ვკითხულობთ ქვევით წერილში,—და ზოგი კარტეზიანელების წაქეზებითაც ჰოლანდიის მთავრობის წინაშე საჩივარი აღძრესო. სპინოზამ რომ ეს ამბავი გაიგო თავისი წიგნი სტამბიდან წამოიღო. იგი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ასეთი პირობების გათვალისწინების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია თუ რა გზებით უნდა შესულიყო სიტყვა „ღმერთი“ სპინოზას სისტემაში.

არა უნაკლო) მექანისტურ-ქვანტიფიკატიური პრინციპისა, რომელიც სწორედ სპინოზას დროს ახლად აღორძინებულ ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს შეადგენდა. ბუნებისმეტყველები ამ პრინციპს სახელად უწოდებდენ ბუნების ერთ და გვარობის კანონს (Das Prinsip der Eindeutigkeit der Natur). ეს პრინციპი, მაგ. საფუძველია ექსპერიმენტის, როგორც მეცნიერული ძიების მეთოდის.

ბუნებისმეტყველი ახდენს ერთს ექსპერიმენტს — ერთჯერ და ამით ხშირად მთელი ბუნების ახალ კანონს და ახალ ფენომენს აღმოაჩენს. ბუნება, რომ ყველა თავის ნაწილებში ერთნაირად არ მიმდინარეობდეს, მაშინ როგორ შეიძლებოდა მასზე რაიმე ცოდნის შედგენა, ან რა აზრი ექნებოდა ექსპერიმენტს და ცდას! ასე ფიქრობდენ და მუშაობდენ ახალი დროის დიდი ბუნებისმეტყველნი — მექანიკოსები. სპინოზადან მოყვანილი ციტატი ამ მეთოდის უბრალო გამართლებაა. და წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ აქ სიტყვა ღმერთი ჩასწეროს. ამ შემთხვევაში ან ღმერთმა, როგორც თეოლოგიურმა და თეოსოფიურმა ცნებამ, უნდა დაჰკარგოს ყოველივე აზრი, ან და სპინოზას ნააზრევის კონსტრუქციამ.

არგუმენტი მეორე: ეს არის სპინოზას ცნობილი ფრაზა Deus sive natura, რომელიც რელიეფურად ნახმარია „ეთიკის“ მეოთხე განყოფილების წინასიტყვაობაში. „ღმერთი ანუ ბუნება“ — ეს რას ნიშნავს? ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება ⊥ ღმერთი იმ გაგებით ერთი ⊥ იგივეა, რომ თეოლოგიური ⊥ ნატურალისტური პრინციპი ერთი-

მეორეშია არეული? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის. ვინც საკმაო ცოდნით და გაგების უნარით შეისწავლის „ეთიკის“ დასახელებულ ნაწილს, ის დარწმუნდება, რომ ამ საგანზე ჩვენი აზრი სწორია.

სპინოზას თითოეული სადაო დებულების სწორი ინტერპრეტაცია შესაძლებელია იმ კონტექსტის სრული გამოკვლევით, რა კონტექსტშიც ეს დებულება არის ნახმარი. დასახელებული პრობლემა ნახმარია აუცილებლობისა და მიზანშეწონილების საკითხის მოგვარების დროს. სპინოზა უარჰყოფს ღმერთისათვის ტრადიციულს, ე. წ. მიზნის თეორიას და ღებულობს ბუნებისმეტყველების მიერ ბუნების აუცილებლობის მიხედვით მოქმედების თეორიას, ე. ი. ის უარჰყოფს თელეოლოგიის ყველა პრეტენზიებს და ღებულობს მექანისტური თეორიიდან გამომდინარე აუცილებლობის პრინციპს. რა გამომდინარეობს ამის გათვალისწინებიდან Deus sive natura-ს გაგებისათვის? ის, რომ აქ ღმერთს დაკარგული აქვს თავისი ტრადიციული აზრი და ის დარჩენილა, როგორც ყოვლად უბრალო façon de parler.

ამრიგად, სპინოზას ფილოსოფიის სათავეში მოთავსებული პირველი ონტოლოგიური რეალობის ნატურალისტურ-ფაქტიური შინაარსი არის სუბსტანციის ბუნების ერთიანობის და ერთობლიობის ენაზე გადათარგმნა, და სხვა არაფერი. თუ ძველი ონტოლოგიის ცნებების მიხედვით ვილაპარაკებთ, სპინოზა იწყებს ასე: არსებობს ერთი სუბსტანცია. ეს სუბსტანცია, ანუ ბუნება შეიცავს თვისებების დაუსრულებელ მრავალ სახეებს, ანუ ატრიბუ-

ტებს. ატრიბუტი არის ის, რასაც ინტელექტი სუბსტანციის არსებითი თვისებად ღებულობს. ატრიბუტების რიცხვი დაუსრულებლად დიდია, მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩვენ ადამიანურ შემეცნებას (შემეცნების სხვა ფორმა კი არ არსებობს), მხოლოდ ორი ატრიბუტის გაგება შეუძლია. ეს ორი ატრიბუტია: განფენილობა და აზროვნება. ატრიბუტი არის სუბსტანციის უნარი გამოსთქვას თავისი თავი, და რადგან სუბსტანციის გამოთქმა შესაძლებელია ისე, როგორც თვით სუბსტანცია არის, ე. ი. დაუბოლოვებლად, ამიტომ თუ ატრიბუტის რიცხობრივი არსებობის შესახებ დაისმება საკითხი, ცხადია, ისიც დაუბოლოვებელი უნდა იყოს. მაგრამ შემეცნებაში ხდება უცნაური „ამბავი: დაუბოლოვებელი რიცხვი ხურდავდება ორს შორის. ასეთი მოქმედების დიალექტიურს აზრს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, აქ კი დავიხსომოთ, რომ ჩვენ აზროვნებისათვის სუბსტანციაზე გასარჩევია ორი ატრიბუტი. თითოეულ ამ ატრიბუტთაგანი ეძებს თავისი თავის გამოთქმის საშუალებას, და ეს ინდივიდუალური და საგნობრივი წესი ატრიბუტის გამოთქმისა არის მოდუსი. ასეთია სპინოზას სისტემის ამოსავალი პირველი პრინციპები. ჩვენს მიზანს არ შეადგენს, რასაკვირველია, თვით სისტემის გაშლა და გადმოცემა, არამედ სისტემის გაგებისათვის საჭირო გასაღების გამონახვა.

5. გნოსეოლოგიისა და დიალექტიკის საკითხები სპინოზას ნაზრევში

როგორც შევნიშნეთ სპინოზას ფილოსოფიური მოწინააღმდეგენი ავრცელებენ იმ შეხედულობას, ვითომც ჰოლანდიელ ბრძენს შემეცნების კრიტიკის და თეორიის უნარი მიჰკლებოდეს. ამ ბრალდების მსგავსი უსამართლობა ჩვენ არ გვეგულება. ადვილია იმის დამტკიცება, რომ სპინოზამ ამოსწურა ყველა ის გნოსეოლოგიური შესაძლებლობანი, რაიც რაციონალიზმის კლასიკის განკარგულებაში იმყოფებოდა. წმინდა გნოსეოლგიურად მოფიქრებულ, მაგრამ საუბედუროდ დაუმთავრებელ ნაშრომს Tractatus de intellectus emendatione-ს რომ თავი გავანებოთ, „ეთიკის“ მთავარი პარტიების განხილვაც საკმაო თვალნათლობით დაამტკიცებს ჩვენს ნათქვამს.

და მართლაც, რა საკითხს უნდა ემსახურებოდეს ეს, ე. წ. გნოსეოლოგია? ერთ ძალიან უბრალოს: როგორ არის შესაძლებელი შემეცნება? ასეთი საკითხი, ცხადია, ორი პრობლემის შემცველია. პირველი: როგორ არის შემეცნება შესაძლებელი ჩვენთვის, ადამიანთათვის, რა ძალით შევთანხმდით ყველანი იმაში, რომ „მარილი წყალში დნება“, ან და იმ პირველმა სუბიექტმა, რომელმაც ასეთი ჭეშმარიტება აღმოაჩინა, როგორ გაუზიარა ეს ამბავი მის თანამოძმე სუბიექტს და სხვ. ყველა ასეთი საკითხები თავს იყრიან, ე. წ. შემეცნების ინტერ-სუბიექტურ შეთანხმების საკითხში. აქედან გამომდინარე ზოგად მეცნიერული ძიება იკვლევს შემეცნების

ზოგად შესაძლებლობას; რასაკვირველია, შემეცნება ჯერ გაგებულია, როგორც სიკეთე და უნარი სუბიექტისა.

ვსთქვათ, ეს საკითხები მოვაგვარეთ. შემეცნების თეორია ამით არ ამოიწურება. უმთავრესი საკითხი დაისმება ამის მიღმა. ეს საკითხია: როგორ არის შემეცნება შესაძლებელი, როგორც თანხმობა სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაგ. მეცნიერი ფანქარით ხელში ანგარიშობს, რომ 1000 წელიწადის შემდეგ ამ დროს და ამ ადგილას მოხდება მზის დაბნელება და ეს ფენომენი უდიდესი სისწორით მართლდება. რატომ? რათ ექვემდებარება ბუნების მსვლელობა ჩვენს ანგარიშებს? აქ შეიძლება ორი პასუხი. იდეალისტური: გონება უკარნახებს ბუნებას კანონებს; და რეალისტური: გონებას აქვს უნარი ნაწილობრივად გაიგოს და აითვისოს ბუნების ობიექტური კანონები. მაგრამ ამ რეალისტური თეზის მიღების შემდეგაც გასარკვევი რჩება ის საკითხი, რომელმაც მცდარი და მედიდური იდეალისტური თეზის წარმოშობა განსაზღვრა, სახელდობრ: სად უნდა ვეძიოთ ამ „შეთანხმებულობის“ უნარი, რა პრინციპებს უნდა ეთანხმებოდეს ის, და სხვ.. ეს არის ცენტრალური საკითხები შემეცნების თეორიისა.

სპინოზა არამც თუ გრძნობს ასეთი სკითხების დამუშავების აუცილებლობას, არამედ კლასიკურს პასუხსაც იძლევა შემეცნების ძირითადი საკითხის მოგვარების სფეროში:

„ეთიკა“ (ნაწილი მე-II, თეორემა მე-7) ამბობს: ordo et connexio idearum idem est, ac ordo et conne-

xio rerum.—„რიგი და წესწყობა (ან წესრიგი ⁄ გადაბმულობა) იდეებისა არის ერთი და იგივე, როგორი რიგი და წესწყობაც აქვთ საგნებსს“. ეს წმიდა გნოსეოლოგიური დებულებაა; ადვილია იმის შემჩნევა, რომ სპინოზა შემეცნების პრობლემის მოგვარებას იწყებს გნოსეოლოგიური პრობლემების მეორე, ე. წ. ობიექტური წყებიდან. ფაქტად ქცეულ შემეცნებაში სუბიექტის მიერ ნაანგარიშევი იმიტომ ეთანხმება ობიექტში მოთავსებულ მოვლენას, რომ ერთსა და იმავე შინაგან წესრიგს და კანონს ექვემდებარება,—როგორც სუბიექტი ისე ობიექტი, ანუ, სპინოზას სიტყვებით თუ ვილაპარაკებთ, შემეცნების შესაძლებლობა უზრუნველჰყოფილია იმ პრინციპიდან, რომლის მიხედვით მოაზროვნე სუბსტანცია ⁄ განფენილი სუბსტანცია არის ერთი ⁄ იგივე სუბსტანცია, ანუ ეს არის ატრიბუტტთა ერთიგივეობა. სუბსტანცია არის ერთი. ყოველი კანონიერება ამ ერთის ბუნებიდან გამომდინარეობს,⁄ არ შეიძლება აზროვნებას თავისი წესები და კანონები ჰქონდეს და განფენილობას კიდევ თავისი. მაგ. ბუნებაში არსებული წრე და აზროვნებაში არსებული წრე ერთი და იგივე წრე არის, მაგრამ სხვადასხვა ატრიბუტით გამოთქმული. არ შეიძლება აზროვნებაში არსებული წრე სხვა კანონებს ექვემდებარებოდეს, ვიდრე ბუნებაში არსებული, რადგან სხვა დამოუკიდებელი კანონები აზროვნებას არ გააჩნია.

როგორც ვხედავთ, აქამდე იგივეობის ცნობილი თეზის საშუალებით სჭრის სპინოზა შემეცნების საკითხს; მაგრამ აქ ჩვენ ის უკანასკნელი საჭირ-ბოროტო საკითხი უნდა

დავსვათ, რომელიც ყოველივე ერთ-იგივეობის თეორიას პირბადეს ახდის და თეორიის მიღმა ნაგულისხმევს მსოფლმხედველობას ნათელ ჰყოფს. ამ საკითხის დაყენება იწყება ასე: ძალიან კეთილი და მისაღები ამბავია, რომ განფენილობის თითოეულ წესრიგს და კანონს აზროვნებაში შესაფერი წესი და კანონი აქვს. მაგრამ სად უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ის ს ა გ ა ნ ი, რომელსაც ეს წესი და ეს კანონი გულისხმობს, მართლა არსებობს? აი ის უკანასკნელი საკითხი, სადაც ყოველივე გნოსეოლოგიური თეორია ან სუბიექტივისტურ-იდეალისტურად გადიქცევა, ან რეალისტურ-მატერიალისტურად.

მერმე იცნობს სპინოზას „ეთიკა“ ასეთს ცენტრალურ საკითხს?

საუცხოვოდ!

„ეთიკა“ (ნაწილი პირველი, თეორემა მე-11, ე. წ. მეორე დამტკიცება) შეიცავს უდიდესი მნიშვნელობის აზრებს, და საუბედუროთ ჩემის ცოდნით სპინოზას ვარშემო მოკამათეთ სწორედ ეს ადგილი არ გამოუყენებიათ ჯეროვნად. გაკვრით შეეხო მას ჰ. ჰ ტ ო ფ დ ი ნ გ ი: Kantstudien B. XXXII H. 1. 1927. არ გამოუყენებიათ ეს ადგილი არც მათ, ვინც სპინოზას მატერიალისტობას ამტკიცებენ—ეს კი ძალიან ცუდი ამბავია.

ეს მე-11 თეორემა ამტკიცებს, რომ სუბსტანცია არსებობს აუცილებლობის მიხედვით. იმისათვის კი, რომ დაამტკიცო რომელიმე საგნის არსებობა ან არ-არსებობა, საჭიროა გამოინახოს არსებობის ან არ-არსებობის შესაფერი მიზეზი ან საფუძველი—ასე იწყება სპინოზას მტკი-

ცება. იმის დასამტკიცებლად, მაგალ., რომ ეს ფიგურა სამკუთხედია, ე. ი. სამკუთხედის სახით არსებული ფიგურაა, უნდა გამოინახოს ასეთი არსებობის საფუძველი. ორი შესაძლებლობაა: ან ეს არსებობის მიზეზი თვით საგნის ბუნებაში არსებობს, ან და ამ საგნის ბუნების გარეშე. მაგ. სუბსტანცია როგორც causa sui თვით არის თავისი არსებობის მიზეზი; მაგრამ ადვილი შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ ჩვეულებრივი საგანი თვითონ არ არის თავისი არსებობის განმსაზღვრელი მიზეზი. აბა სად უნდა ვეძიოთ საფუძველი იმისა, რომ სამკუთხედი ან წრე არსებობს ან არ არსებობს? აი სპინოზას პასუხი: „საფუძველი იმისა, რომ სამკუთხედი ან წრე არსებობს, ან არ არსებობს, ამ საგნების ბუნებისგან კი არ გამომდინარეობს, არამედ ს ხ ე უ ლ თ ა ბ უ ნ ე ბ ი ს ზოგადი წესწყობისაგან“ *).

აი უდიდესი დამტკიცება იმისა, რომ სპინოზას გნოსეოლოგიის საფუძვლები რეალისტურ-ნატურალისტურია და იმ ტერმინით თუ მოვნათლავთ, რომელიც სპინოზას დროს სრულიად არ იხმარებოდა, მატერიალისტურიც.

ე. ი. ის კონკრეტიული საგანი შემეცნებისა, რომლის სისწორეს და ევიდენტურ ჭეშმარიტების სახით მოცემულობას, იგივობის თეზა აწესრიგებს, თავის არსებობის ათვის საჭირო პრედიკატს არ ღებულობს არც ღმერთისაგან, როგორც პანთეისტურ მონიზმს შეუძლია ეს წარ-

*) At ratio, cur circulus vel triangulus existit, vel cur non existit, ex eorum natura non sequitur, sed ex ordine universae naturae corporeae.

მოიდგინოს (მაგ. ნიკ. კუზანელი), არც პანლოგისტურ ფორმებში მოვლენილ ინტელექტისაგან (მაგ. ასეთად გაგებული პარმენიდე), არამედ არსებულ საგანთა ქვეყნისაგან, ე. ი. ბუნებისაგან. ასეთი გადაჭრა საკითხისა კი წმიდა რეალისტურ-ნატურალისტურია, და ასე სჭრის მას სპინოზას შემეცნების თეორიაც.

და თუ ეს პირველი საკითხი მოწესრიგებულია და გვეუბნება: თითოეული არსებული საგანი არსებობს იმიტომ, რომ მის წინ არსებობს საგანთა ბუნება და ამ ბუნებისაგან ღებულობს ის თავის არსებობას,—ამას იქით უკვე უფრო მკაფიოდ დაისმება ე. წ. თვით გნოსეოლოგიური საკითხიც, ე. ი. საკითხი ამ არსებული საგნის შეთანხმებულობისა ამავე საგნის აზროვნებაში მოცემულობასთან. „ეთიკა"—II, თეორემა მე-7 სწორედ ამ საკითხს უპასუხებს. თუ დამტკიცებულია, რომ წრის არსებობა არსებულ ბუნების საგანთა წესწყობისაგან გამომდინერეობს, მაშინ, რასაკვირველია, სწორია და თან ნათელიც სპინოზას განმარტება: „რომელი ატრიბუტისაგანაც გავიგებთ ბუნებას,—განფენილობისა, აზროვნებისა, თუ რომელიმე სხვაა ტრიბუტისაგან, ყოველთვის მიზეზების ერთსა და იმავე წესწყობასა და გადაბმულობას შევხვდებით, ე. ი. ჩვენ ყოველთვის ერთისა და იმავე საგნების თანამიმდევნობასთან გვექნება საქმე".

ასეთია სპინოზას შემეცნების თეორია. ეს არის რაციონალიზმის უდიდესი მოხწევა. რაციონალიზმი იქ გაგებულია არა როგორც მხოლოდ ადამიანის ratio-დან გამომდინარე მსოფლგაგება, არამედ ისეთი ლოგიური

მსოფლგაგება, სადაც თვით ადამიანის აზროვნება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის როლს თამაშობს.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ შემეცნების თეორიისა-თვის ორი სხვადასხვა ნაირი გზა არსებობს: ერთი ამათ, განი ამტკიცებს, რომ შემეცნების მოწესრიგება ნიშნავს სუბიექტების საზოგადო შეთანხმებას შემეცნების ფაქტის თანასწორ გაგების შესახებ. ჩვენ ვსთქვით, რომ ამ შემთხვევაში შემეცნება გამოდის, როგორც ს ი კ ე თ ე და უ ნ ა-რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა. ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის ენაზე გადატანილი, ეს რეფლექსია მოგვცემს დასაბამს სუბიექტივიზმისა, რელატივიზმისა და იდეალიზმისას.

სულ სხვანაირია ის გზა, რომელიც სპინოზამ აირ-ჩია. ეს არის შემეცნების გაგების ის მეორე გზა, რომელიც ყოველთვის ამოსავალ წერტილს ობიექტის სფეროში ხე-დავს, ამიტომ მთელი შემეცნება ამ შემთხვევაში იქნება ა ქ-ს ი ო ზ ო ბ ა ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა. რადგან სპინოზასათვის, თ. ც ი ე ნ ი ს სამართლიანი შენიშვნის თანახმად, „ადამიანის აზროვნება მხოლოდ სპეციალი შემთხვევა იყო საერთო, დიდი და ზოგადი კანონზომიერებისა“ (Kantstudien B. XXXII. H. 1.) ამიტომ ის რასაკვირველია, არსის ანუ ობიექტის აქსიოზობის სფეროდან აშენებს თავის შემეც-ნების თეორიას. ეს კი, მსოფლმხედველობის ენაზე რომ ვთარგმნოთ, არის სათავე რეალიზმის, ობიექტივიზმის და მატერიალიზმისა.

მაგრამ რამდენადაც ობიექტივისტი იყოს მოაზ-როვნე, მას მაინც არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ გარე-მოებას, რომ ფაქტიურად ყოველი შემეცნების მასალა

ჩვენს ადამიანურს ცნობიერებაში ვლინდება. ამიტომ ცხადია, ობიექტივისტური შემეცნების თეორია ბოლომდე მიყვანილი არ იქნება, თუ ის თავის ძირითად დებულებებს ვერ გაამართლებს იმ ცნობიერების სფეროში, რომელიც, როგორც რეალური ინსტანცია შემეცნებისა, საგანს და მოვლენას აღიქვამს და შეიმეცნებს. მერე გავლო სპინოზამ ეს საფეხური? რასაკვირველია! De intellectus emendatione-ში შეგვიძლია ამოვკრიფოთ საჭირო მასალა; მაგრამ არც „ეთიკაშია“ ეს საკითხი დავიწყებული. „ეთიკა“, (5, თეორემა 1.) ცდილობს გაატაროს იგივეობის თეორია ადამიანის სულის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სპინოზას სწავლა, ადამიანის სულისა და მისი აფექტების მოძრაობის შესახებ, დამუშავებულია ისე, ვითომც ეს იყოს ერთ-ერთი თავი ნატურალისტური ფსიქოლოგიისა.

გნოსეოლოგიის პრობლემასთან დაახლოვებულია მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხები, რომელთა გარკვევისათვის სპინოზას ნააზრევმა ერთგვარი როლი ითამაშეს. სპინოზა, როგორც წარმომადგენელი აბსოლიუტური რაციონალიზმის და ოსტატი მკაცრი დედუქციებისა, ვითომცდა უყურადღებოდ უხდა სტოვებდეს ჩვენი შემეცნების ემპირიულ დატებს. მაგრამ სწორედ ეს არ არის ასე. სპინოზას გაგებით შემეცნების ფაქტიური მსვლელობა ზოგადიდან კერძოისაკენ კი არ მოდის, არამედ პირუკულმა—კერძოსაგან ზოგადისაკენ De intellectus etc. გვეუბნება: Cognitio particularium qvam maxima nobis petenda est—ყველაზედ მეტად ჩვენ კერძოულის შემეცნებისაკენ უნდა

ვილტოდეთ“, და ეთიკა (5, თეორ. 24) ამტკიცებს: „რამდენადაც მეტს კერძოულ საგნებს შევიმეცნებთ, იმდენი მეტად შევიმეცნებთ ღმერთსაც“, ვითომც და უცნაური უნდა იყოს სპინოზასათვის ასეთი რამეს თქმა. ღმერთი ანუ სუბსტანცია, რომელიც არის მარადიულ პირობათა ტოტალური სავსეობა, აქ დამოკიდებული გამოდის იმისაგან, თუ რამდენად შეგვიმეცნებია კერძო საგნები, ე. ი. გონების დედუქცია დამყარებული ყოფილა ცდაში მოცემული ფაქტიური დატების რეფლექსზე. მაგრამ საკვირველი აქ არ არის არაფერი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ სპინოზა თავისი რაციონალიზმით მესიტყვეობდა სწორედ იმ ახალ ბუნებისმეტყველობას რომლისათვის კერძო ფაქტიდან ზოგად კანონზე გადასვლა არამც თუ საჭირო იყო, არამედ ერთად ერთი აუცილებელი და უსათუოდ გასავლელი გზაც. გარეშე ასეთი გზისა შეუძლებელი იქნებოდა როგორც ექსპერიმენტის აზრის გაგება, ისე მათემატიკური კანონის კერძოულ ფაქტზე გამოყენება.

ჩვენ გვინდა აქ ვილაპარაკოთ აგრეთვე სპინოზას ნააზრევის დიალექტიკურ კვანძებზე. ჩვენის აზრით კუზანელსა და ლაიბნიცს შორის სპინოზა დიალექტიური აზროვნების ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია. ჩვენ შევეხებით აქ მარტო ერთს პრობლემას.

თუ მექანიკისა და რაციონალიზმის ზოგად სახეს შევხედავთ, უსათუოდ შევამჩნევთ, რომ მექანისტური მსოფლმხედველობა დიალექტიური აზროვნების პრინციპებს საკმაო ანგარიშს ვერ უწევს. მე-16 და მე-17 საუკუნეში

ბუნებისმეტყველება, და ყველაზე უფრო ზუსტი მათ შორის, მექანიკა, ისე ვითარდებოდა, რომ ეს განვითარება დიალექტიკის საწინააღმდეგოთ იყო მიმართული. და მართლაც, ლეონარდო დე ვინჩიდან დაწყებული ნიუტონამდე, მოაზროვნეთ ქვეყანა წარმოუდგენიათ როგორც საათივით ნაშენი მექანიზმი. ეს სრულქმნილი დიდი მანქანა სდგას მსოფლიოს სივრცეში, ტრიალებს და მოქმედებს, მოძრაობს და ექვემდებარება ზუსტს მათემატიკურ კანონებს, მაგრამ არავინ არ იცის, საიდან მოსულა ის, ან და საით მიდის მისი გზა. ერთი სიტყვით, ასეთს მსოფლგაგებას აკლია უნარი ქვეყანა წარმოიდგინოს, როგორც განვითარება, როგორც დიალექტიური პროცესი.

ამ ბუნებისმეტყველების ნაკლს საუცხოვოდ ახასიათებს ენგელსი თავის „ნატურდიალექტიკაში". ამ პერიოდშიო—ვკითხულობთ ჩვენ იქ,—გამომუშავდა განსაკუთრებული მსოფლგაგება, რომლის ცენტრალური ნაწილი არის ბუნების აბსოლიუტური უცვლელობის რწმენა (იხილე: **Архив К. Маркса и Фр. Енгельса**, ტომი II, გვ. 158). მთელი მაშინდელი ბუნებათმეცნიერება იმდენად გატაცებული იყო უამრავი ფაქტიური მასალის დამუშავების წყურვილით, რომ ლოლიკური რეფლექსიისათვის ძალიან მცირე დრო რჩებოდა ან და ასეთი რეფლექსია მხოლოდ ფაქტების უბრალო რეფლექსს ემყარებოდა და ამიტომ ადვილად ეგუებოდა ძველი ფორმალური ლოლიკის მეტაფიზიკურ წესს აზრონებისას.

მაგრამ ამავე ბუნებისმეტყველების წიაღიდან ვითარდებოდა ახალი დისციპლინა ცოდნისა, რომელიც თავისი

ბუნებით ეწინააღმდეგებოდა ძველს მეტაფიზიკას და დიალექტიური ლოგიკის აღორძინებისათვის საჭირო მასალას იძლეოდა. ეს იყო დაუბოლავებელის მათემატიკა, რომელიც კავალიერიდან დაწყებული შეუჩერებელი ნაბიჯებით მიდიოდა წინ და ცოდნის ახალ-ახალს პოზიციებს იღებდა. სადაც ახალმა მათემატიკამ გარდამწყვეტი რევოლიუცია მოახდინა, აქ მათემატიკის ლოგიური რეფლექსი უსათუოდ დიალექტიური იყო. ჩვენი გაგებით ასეთი გარდამტეხი მომენტები არის დეკარტის მიერ ანალიტიური გეომეტრიის ჩამოყალიბება და ლაიბნიცის მიერ ინფინიტისიმალი სისხოს აღმოჩენით დიფერენციალი აღრიცხვის შედგენა. ორივე ეს დიდი კვანძი ახალი მათემატიკისა უაღრესად დიალექტიურად ნაშენები იყო და ამიტომ ვითომცდა წინააღმდეგობაში მყოფი მექანიკურ ბუნებათმეტყველების მიერ წამოყენებული პრობლემისა.

სპინოზა, რომელიც თავისი დროის მეცნიერულ მოძრაობას ჩინებულად იცნობდა და მას მთელი სიძლიერით განიცდიდა, ჩვენი გაგებით, მომრიგებელის როლში გამოდის აქ და დიალექტიკის ერთ-ერთი უძველესი პრობლემის ფილოსოფიურ-მათემატიკური მოგვარებით რაციონალიზმის სისტემაში საბოლოოდ ამარჯვებინებს აზროვნების დიალექტიურ ნაკადს. ჩვენ არ გვინდა ავიჩემოთ, ვითომ ის, რაზედაც აქ ლაპარაკი იქნება, თვით სპინოზას სავსებით შეგნებულად ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ იმისაგან, რაიც მის მიერ მოცემულია, ასეთი ინტერპრეტაციის გაკეთების უფლება გვაქვს.

დიალექტიური აზროვნების საუცხოო ნიმუშს იძ-

ლევა სპინოზას ანალიზი აუცილებლობის და თავისუფლების პრობლემისა, მაგრამ ეს არ იქნება ჩვენი ახლანდელი თემა. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, რომ მისი სისტემის თვით პირველ შენება დიალექტიკის მიხედვით არის ნაშენები. ეს გახლავთ დეკარტის სამი სუბსტანციის ერთად დახურდავება და შემდეგ ამ ერთის ატრიბუტთა მრავალ სახიანობათ გაყოფა.

რეფლექსიის პირველსაწყისში სპინოზა მონისტია, ის აღიარებს ერთ სუბსტანციონალობას, მაგრამ ცნობილია, რომ მონისტური თეორიის წამოყენება ძალიან ადვილი საქმეა. ფილოსოფიური სიძნელე იწყება იქ, სადაც საკითხი დაისმება მონისტური ერთიდან მრავალსახიანობის წარმოშობის შესახებ.

ერთისა და სიმრავლის პრობლემა უძველესი დიალექტიური პრობლემაა; დიალექტიკოსმა და თან დიალექტიკის მტერმა ძველმა ძენონმა სიმრავლის ცნების წინააღმდეგ ასპარესზე გამოიყვანა დაუბოლავებელის პარადოქსიები და აქედან ააშენა თავისი აპორეტიკა, და მას შემდეგ თითქმის თვითეული მოაზროვნე-დიალექტიკოსი ამ ცნებას დასტრიალებდა, ასე რომ ჰეგელს კიდევ უფლება ჰქოდა გაეცხადებინა—ძენონი ჯერ დაუძლეველი და პასუხგაუცემელიაო. ძენონის პრობლემა თვითონ ჰეგელს შემდეგაც სავსებით დაუძლეველი დარჩა. ამას ნათლად აჩვენებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ 40 წელს თეორიული მათემატიკა განსაკუთრებული ინტესიობით მუშაობდა სწორედ ერთისა და მრავალის პრობლემის გარშემო.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიმრავლეთა თეორიის შემქნელმა გ. კანტორმა სიმრავლის ცნების ესეთივე მოგვარება მოგვცა, როგორიც ჰეგელის დიალექტიკის მიერ უკვე მოცემული იყო. ე. წ. აქტუალურ დაუბოლოვებელის, ანუ ტოტალურად დიდი სიდიდის ცნებაში. აქ კი საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ეს უძველესი დიალექტური პრობლემა სპინოზას მიერ რაციონალისტური საშუალებებით უკვე სავსებით გადაჭრილი იყო:

არსებობს ერთი სუბსტანცია და მას აქვს ატრიბუტთა დაუბოლოვებელი რიცხვი. საკითხავია, რა დამოკიდებულება უნდა იყოს ერთსა და ამ დაუბოლოვებელ სიმრავლეს შორის? ყოვლად უეჭვოა, რომ სპინოზა იგივეობის ნიშანს სვამს მათ შორის:

ერთი = დაუბოლოვებლობას

ე. წ. საღი გონების წინაშე ეს ხომ ნამდვილი წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ სწორედ ეს წინააღმდეგობა ნათელჰყოფს ამ პრობლემის დიალექტიურს შინაარსს. წინააღმდეგობა მიღებულია სპინოზას სისტემაში, ხოლო სისტემის რაციონალური გაშლა მოითხოვს წინააღმდეგობის რაციონალურ გადალახვას—ეს კი იქნება დიალექტიური კვანძის გახსნა. ამისათვის კი აუცილებელია განვახილოთ ჩვენი შეთანასწორების მეორე ნახევარი. ეს მეორე ნაწილი შეეხება ატრიბუტებს. ატრიბუტები შემეცნების სფეროსათვის მოცემულია ახალი რიცხვის სახით, მისი სახელია ორი (2). სუბსტანცია, რიცხვით ერთი (1), მოცემული იყო თავისთავად, როგორც ობიექტის აქსიოზობა, ატრიბუტები კი, რიცხვით ორი (2),

მოცემული ჩვენთვის, ე. ი. შემეცნებისათვის. ამრიგად, ორი მეტია ერთზე, რადგან განმეორებაა ერთისა და თან შეთანასწორების თანახმად ნაკლებია ერთზე, რადგან ერთი შეიძლება არამც თუ ორს, არამედ ისეთს სიმრავლეს უდრიდეს, რომელიც დაუბოლავებელი იქნება. ეს ასეა შესაძლებელ ონტიურ სფეროსათვის, მაგრამ შემეცნების რაციონალურ სფეროში დაუბოლოვებელი=2, და თუ ეხლა პირველ შეთანასწორებას ხელ-ახლა დავწერთ, ცხადია, რომ 1=2.

აქედან ჩვენთვის კი უკვე სავსებით ნათელია, თუ საიდან წარმოშობილა პირველი სიმრავლე, ე. ი. 2. ის წარმოშობილა იმ დიალექტიური წინააღმდეგობიდან, რომელიც არსებობს საგნის ონტიურ სფეროში არსებობასა და ამავე საგნის რაციონალური სფეროს საგნად გახდომას შორის. მაგრამ ამ წინააღმდეგობის აღიარებით სპინოზას ეძლევა საშუალება მიიღოს პირველი სიმრავლე, ანუ 2, და თუ ორი დიალექტიურ-ლოლიკურ გზით მიღებულია, მაშინ მონისტური ერთის გაუგებრობა გაგებულია და მისი ციხე-სიმაგრე ემპირიული ქვეყნის საგანთა სიმრავლისაგან არის აღებული.

მათემათიკური ხერხი, რომელიც აქ სპინოზას სისტემას საფუძვლათ დაედო, საუცხოვოთ სჩანს თვით სისტემის აღნაგობაში: სისტემაში დაშვებული ატრიბუტების რიცხვის დაუბოლოვებლობა არამც თუ იყოფა ორს რაციონალურს სფეროს კუთვნილ ატრიბუტად, არამედ რომელიმე intellectus intuitivus et infinitus—საშუალებით რომ ამ დაუბოლავებელის უსასრულო დაყოფა წარ-

მოვიდგინოთ, ის სულ წყვილ-წყვილად დაიყოფა. ასეთი გონების მათემატიკას მხოლოდ წყვილ-კვადრატული რიცხვების ბუნებრივი მწკრივი ეცოდინება.

აქ პირველად იბადება უდიდესი დიალექტიური გახსნა პრობლემისა, სახელდობრ ის უბრალო, მაგრამ გენიალური აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ სიმრავლე ყველა შესაძლებელ წყვილ-რიცხვთა ერთძალოვანია ყველა კენტრიცხვთა სიმრავლისა. ამიტომ 2 სავსებით გამოხატავს წყვილობით აშენებული სიმრავლის ლოლიკურ ბუნებას. დიდი გონება-მახვილობა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ სპინოზას სისტემისათვის „ორზე მეტი“ ატრიბუტის არსებობას არავითარი აზრი არ აქვს. მწკრივის რა რიგის არ იყოს ეს „ორზე მეტი“, ის ბოლოს მაინც ორამდე დაიყვანება, ორიდან მივიღებთ 4, 8, 16-სა და პირუკულმაც რომელ ასეთ რიცხვიდანაც შემოვბრუნდებით, უეჭველად ჩამოვალთ ორამდე. თუ რა არის თვით „ორი“, ეს ჩვენ უკვე ვიცით. ორი ისე ნათლად გვაქვს მოცეული, როგორც ერთი. თუ ერთი ონტიური საფუძველია არსებობისა, ორი საფუძველია იმ ონტიური ერთის ჩვენ რაციონალურ ფორმებში ორმაგის გამეორებისა—ამას ემყარება სუბსტანციის და ატრიბუტების სწავლა.

ასე გადასჭრა სპინოზამ დიალექტივის ეს უძველესი პრობლემა, ის პრობლემა, რომელიც ნათლად ამოვიდა ბერძნული აზროვნების განთიადზე და მის საღამოს ჟამზე პლოტინის ნააზრევში ერთხელ კიდევ განათლდა და მომავალი თაობისათვის გადასაჭრელი პრობლემის სახით ჩა-

შოყალიბდა. სპინოზას პასუხი პლოტინის პრობლემაზე საინტერესოა იმ მხრივადაც, რომ სადაც პლოტინის სისტემაში ამ პრობლემის გადასაჭრელად ღმერთის დახმარების საჭიროება იყო წამოყენებული, სპინოზამ პრობლემა გადასჭრა უღმერთოდ, ჩვენი ადამიანური რაციოს ფორმალური საშუალებათა მოხმარებით. ამიტომაა, რომ სპინოზას ასეთი მაღალი დიალექტიური სპეკულიაციაც კი, ყოველდღიურობის ენაზე გადატანილი, უსათუოდ ნატურალიზმის და მატერიალიზმის ენით უნდა გადმოითარგმნოს.

ეს თარგმანი იქნება ასეთი: არსებობს მხოლოდ ერთი ბუნება, მას აქვს უნარი თავისი თავის ახსნისა, და არ შეიძლება მის მიღმა სხვა რაიმე არსებობდეს. ამ არსებულს ერთს ანუ ბუნებას აქვს შინაგანი ძალა წარმოშვას სიცოცხლე და აზრი, ამიტომ ის ერთი სინამდვილეში შემცვლელია ორის სახით ამიტომ ამ ორის შემცველ ერთს შეუძლია აწარმოოს ქვეყხიერ საგანთა მრავალფერადობა და დაუსრულებელი მრავალსახიანობა.

6. მატერიალიზმის ელემენტები სპინოზას სისტემაში.

პირველად ჰეგელმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ფრანგული მატერიალიზმი სპინოზას სუბსტანციის რეალიზაცია იყო. ფოერბახი რომ სპინოზაში ახალი დროის მატერიალიზმის მესიტყვეს ხედავდა, არსებითად ჰეგელის აზრს იმეორებდა. იმ დროს ეს აზრი განმტკიცებული

იყო, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იდეალისტური ფილოსოფიის ახალმა რესტავრაციამ მიზნათ დაისახა სპინოზას თავის ბანაკში გადათრევა. ბევრი რამ დაწერილა ამის გარშემო და ყველაფრის განხილვას, რასაკვირველია, ვერ ვიკისრებთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის გარკვევისათვის აუცილებელ არგუმენტებს მაინც შევეხოთ.

პირველყოვლისა საკითხავია, როგორ უნდა გვესმოდეს მატერიალიზმის ცნება ამ შემთხვევაში? ჩვენ ვიცით, რომ სპინოზას დროს ეს სახელწოდება სრულიადაც არ არსებობდა, ალ. ფრ. ლანგე აი რას გვეუბნება ამის შესახებ:

„ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში სანამ სიტყვა მატერიალისტი ხმარებაში არ შემოსულიყო, მატერიალისტის მაგივრად ხმაროობდენ სიტყვას „mechanici“ ე. ი. მატერიალისტი ნიშნავდა ისეთს ხალხს, რომლების აზროვნების ამოსავალ წერტილს ბუნების მექანისტური გაგება შეადგენდა. ეს მექანიკური ბუნებისმეტყველება გამომდინარეობდა დეკარტიდან. მასვე ანოყიერებდა სპინოზა და მასზე არანაკლებ—ლაიბნიცი, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი პიროვნებისათვის გადაჭრით უარს იტყოდა ასეთს რაიმეზე“. (იხ. A. Fr. Lange: Gesehichte des Materialismus“ ტ. I გვ. 269).

ამ რიგად, ამ სფეროში სპინოზას მატერიალისტობა დავის საგანს არ შეადგენს. სპინოზა, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ახალი ბუნებისმეტყველებისა, მექანიკოსია და ეს იმ დროის გაგებით იმასვე ნიშნავს, რასაც შემდეგში მატერიალისტი ეწოდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ დეკარტი რომელიც გალილეის შემდეგ ასეთს მექანისტურ მსოფლმხედველობას ბელადობდა, ფილოსოფიაში იდეალიზმის დამაარსებელის როლში გამოვიდა. ამიტომ საკითხავია, რას ნიშნავს ეს „ფილოსოფიაში“ და რა დამოკიდებულება აქვს სპინოზას ამასთან? „ფილოსოფიაში“ ნიშნავს შემეცნების ფილოსოფიურ გაგებაში, და აქ კი სპინოზა დიამეტრიულად ეწინააღმდეგება დეკარტს, აქ ის რეალისტია.

და თუ ეხლა სახელმძღვანელოდ ავიღებთ იმ ცნობილ კლასიფიკაციას ფილოსოფიურ - გნოსეოლოგიურ მსოფლგაგებისას, რომელიც პირველად ფიხტემ წამოაყენა, ჰეგელმა გაიზიარა, ხოლო შემდეგ ფრ. ენგელსმა სხარტულ და პოპულიარულ ფორმებში ჩამოაყალიბა, მაშინ სიტყვა „რეალისტი“ უდრის მატერიალისტს და ჩვენ გვგონია, რომ სპინოზას სისტემის ძირითადი პრინციპების კრიტიკული განხილვის დროს არაერთხელ მიუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ სპინოზა, რომელმაც არსის პირველობა აღიარა, შემეცნების კონკრეტული საგნის რეალი არსებობა ბუნების სხეულთა არსებობიდან გამოიყვანა და სხვ.—უსათუოდ ფილოსოფოსების იმ ბანაკს ეკუთვნის, რომლებიც აღიარებენ რომ ობიექტი არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად და შემეცნებისათვის პირველად. ენგელსი სწორედ ასეთს ფილოსოფოსებს უწოდებს სახელად მატერიალისტებს.

აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ ის გარემოებაც, რომ მე-17 საუკუნის მეორე დიდს ფილოსოფოსს, რომლის მატერიალისტობაში ეჭვის შეტანა თითქმის შე-

უძლებელია, ჰობბს, ანალოგიურათ ესმის თავისი ფილოსოფიის დედა პრინციპი. ცნობილია, რომ იმ ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ რაობას, რასაც „მატერია“ გამოხატავს, ჰობბსი სახელად „სხეულს“ უწოდებდა. აი როგორ განმარტავს თომას ჰობბსი სხეულის ცნებას: „სხეულია ყველაფერი, რაიც დამოუკიდებლად ჩვენი აზროვნებისაგან სივრცის რომელსამე ნაწილს ფლობს ან მასთან განფენილია“ (იხ. De Corpore). „სხეულის“ ცნება ჰობბსის მიერ მოფიქრებულია დეკარტის „იდეიის“ საწინააღმდეგოთ და თავისი ბუნებით ისეთსავე ობიექტიურ რეალობას გამოხატავს, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ამ პუნქტში სავსებით ჰგავს სპინოზას სუბსტანციას.

როდესაც მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა ეს „სუბსტანცია“ და „სხეული“ უბრალო ბუნების ფენომენების ენაზე გადასთარგმნეს და აქედან აშენებულ მსოფლმხედველობას სახელად „მატერიალიზმი“ უწოდეს, ცხადია, მათ უფლება ჰქონდათ თავი სპინოზისტებად ეგრძნოთ.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც სპინოზას მე-18 საუკუნის ფრანგი მოაზროვნეების ნამდვილ მამამთავრად ხდის. ეს გახლავთ გაგება თვით ადამიანის რაობისა.

ჩვენ გაკვრით უკვე ავღნიშნეთ, რომ ბუნებისმეტყველი დეკარტი, ფიზიკიდან დაწყებული ბიოლოგიამდე ყოველგან მექანიკურ პრინციპს ატარებს. ცხოველი მისთვის არის უკანასკნელი და ურთულესი მანქანა; ისეთი მანქანა, რომელიც აზროვნობს. მაგრამ ნამდვილი აზროვ-

ნებით დაჯილდოვებული ცხოველი არის ადამიანი. და სწორედ აქ მიაკლდა დეკარტის აზროვნებას საჭირო გამბედაობა. ტრადიციისა და კლერუსის შიშით შეპყრობილმა დეკარტმა განაცხადა, რომ ადამიანი არ არის მანქანა, რომ ადამიანის სული არ ექვემდებარება ბუნების კანონებს, რომ ის მონაწილეა ღვთაებისა და სხვ.

მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა დეკარტის ორპირობა გამოასწორეს. ლამეტრიმ თავდაპირველად ადამიანის სული ჩარიცხა ბუნების მექანიკის ტრიალში და გამოაცხადა: მე იმასვე ვაკეთებ, რაიც ხუცებისგან შეშინებულს დეკარტს გაუკეთებელი დარჩაო.

მე არ ვიცი, იცოდა თუ არა ლამეტრიმ, რომ აგივე საქმე დიდი ხნით ადრე უკვე შესრულებული ჰქონდა სპინოზას. სპინოზამ პირველად შეიტანა ადამიანი ბუნების სხვა საგანთა რეგისტრაციაში და ადამიანის ამპარტავანი სული დაუქვემდებარა მექანიკის პრინციპებს. სწავლა აფექტებზე, ადამიანის სულიერ მოძრაობაზე, და სხ., ნათლად აჩენენ სპინოზას ფსიქოლოგიის ნატურალისტურ საფუძვლებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვინდა ვიხელმძღვანელოთ „ეთიკის“ ნატურალიზმისათვის ხშირად უცხო ენაზე გამოხატული არგუმენტაციით. ჩვენ მივმართავთ უფრო უბრალო და ნათელ წყაროს. ეს წყარო არის სპინოზას წერილები.

ცნობილია, რომ სპინოზა მიწერ-მოწერას აწარმოებდა თავისი დროის თითქმის ყველა წარჩინებულ მოაზროვნესთან. ჩვენ მოგვეპოება ორი ძალიან საინტერესო წერილი, რომელიც ადამიანის რაობას შეეხება და

სპინოზას შეხედულობას ამ საგანზე ძალიან ნათლად აშუქებს. ეს წერილები დაწერილია 1665 წელს და მიწერილია ერთხელ უკვე დასახელებულ ინგლისის სამეცნიერო აკადემიის სეკრეტარ ჰ. ოლდენბურგისადმი. პირველ წერილში სპინოზა ატყობინებს ოლდენბურგს:

„ჩემის აზრით ადამიანი, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ბუნების მხოლოდ ერთი ნაწილია“.

ოლდენბურგი მართლმორწმუნე ინგლისელი, გარეგნულად მაინც დარწმუნებული, რომ ადამიანი ღვთაებრივ ბუნების მონაწილეა, გაკვირვებული ეკითხება სპინოზას და სთხოვს უფრო დაწვრილებით განმარტებას ამ უცნაური აზრის შესახებ.

და სპინოზაც იმავე წელს, 20 ნოემბერს ოლდენბურგს სწერს გრძელს პასუხს: ყოველმხრივი არგუმენტაციის საშუალებით დამტკიცებულია ის აზრი, რომ ადამიანის სხეული უნივერსის სხეულთა კრებადობაში არავითარ გამონაკლისს არ შეადგენს და რომ მის მოძრაობას და მოქმედებას იგივე კანონები განაგებენ, რომლებიც უნივერსის დანარჩენ ნაწილებზე ბატონობენ და სხვ. მაგრამ სპინოზა ამით არ კმაყოფილდება და თავის თეორიას ავრცელებს ადამიანის სულზედაც. აი რა სწერია ამის შესახებ ამ წერილში:

„ეხლა თქვენ ხედავთ, თუ რა საფუძვლითა და მოფიქრებით ვიხილავ მე ადამიანის სხეულს ბუნების ერთ ნაწილად. მაგრამ რაც შეეხება ადამიანის სულს, მე ისიც ბუნების ერთ-ერთ ნაწილად მიმაჩნია. მე ვიზიარებ, რომ ბუნებაში აზროვ-

ნების დაუბოლოვებელი შესაძლებლობა არსებობს და რადგან ეს შესაძლებლობა დაუბოლოვებელია, ამიტომ მასში მთელი ბუნებაც ობიექტიურად არის მოცემული“ და სხ. (იხილე: Spinoza Briefweschel, übertragen von K. Cerhardt წერილები № 30 ⊗ № 32).

მეტი არგუმენტაცია საჭირო აღარ არის. მე-18 საუკუნის მატერიალისტებს, რომლებმაც ეს სახელწოდება ადამიანის განატურალისტებისათვის მოიხვეჭეს, სრული უფლება ჰქონდათ თავისთავისათვის სპინოზისტები ეწოდებინათ. სპინოზა იყო მათი ახალი და რევოლიუციონური მსოფლმხედველობის პირველსათავე.

7. ორიოდე სიტყვა სპინოზას სოციალ—პოლიტიკური ნააზრევის შესახებ.

სპინოზას ნააზრევის კრიტიკული მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ თან არ გავითვალისწინებდით ფილოსოფოსის შეხედულებას თავისი დროის საზოგადოების და სახელმწიფოს წესწყობილებაზე. ახალი აზრები სპინოზამ გამოსთქვა არა მარტო ადამიანზე, როგორც ბიოლოგიურ ერთეულზე, არამედ მისი აზრები ახალი და მოწინავე იყო იმ თვალთაზრისის სფეროშიაც, რომელიც ადამიანს იხილავს, როგორც სოციალურ კოლექტივში მომქმედ მორალურ ერთეულს. თუმცაღა აქ სპინოზას უსათუოდ ემჩნევა ინგლისის ბურჟუაზიის უდიდესი ფილოსოფიური მესიტყვე თომას ჰობბსის გავლენა, მაგრამ სპინოზას თავისუფლე-

ბის მოყვარული და ტრადიციების სულთამხუთაობისგან განთავისუფლების მოტრფიალე აზროვნება აქაც საკუთარ გზებს პოულობს და მომავალი თაობისათვის ბევრს საჭირბოროტოდ გადაქცეულ პრობლემას აყალიბებს. ინგლისის რევოლიუციის დასაწყისში ჰობბსი რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში რომ მოჰყვა, ეს თავის დანიშნულების გაუთვალისწინებლობა იყო მის მხრივ. ემიგრაციაში ყოფნის დროს შინაგანი რწმენით მიხვდა ჰობბსი, რომ მისი საქმე ინგლისში კეთდებოდა, და სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ ჰობბსის სოციალ-პოლიტიკურ ნააზრევს მისმა პოლიტიკურმა ქანაობამ ერთგვარი დაღი დაასვა. ჰობბს, როგორც ახალგაზრდისა და ჯერ კიდევ მებრძოლი კლასის მესიტყვეს, ამ კლასის საკუთარი ხელისუფლებისა და მოწყობილ სახელმწიფო აპარატის ტრფიალი გადაექცა მკაცრ მონარქიზმის ტრფიალად, რომლის შინაგანი აღნაგობა დემოკრატიულ-არისტოკრატიულს ჩამოჰგავდა.

სპინოზა კი თეორიულ მოფიქრების სფეროში ჰობბსის თანამოაზრეა, მაგრამ რა წამს სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ხელისუფლების საკითხს დააყენებს და არჩევანს დაიწყებს, ის უმალვე დგება დემოკრატიის ნიადაგზე და ამტკიცებს რომ გონიერი სახელმწიფო უნდა იყოს რესპუბლიკა, რესპუბლიკას კი ხალხი უნდა განაგებდესო. ტყუილია ის შეხედულება, გვასწავლის სპინოზა, ვითომაც მასას შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი უნარი აკლდეს. თუ მართლაც დღემდე მასას სახელმწიფოს გაგების და მისი ინტერესების ათვისების უნარი

აკლდა, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მასები სრულს უმეცრებაში ჰყავდათ. გონების კანონების მიხედვით აშენებულ სახელმწიფოში, ე. ი. დემოკრატიაში, სადაც თვითოეული მოქალაქე შეგნებული წევრია სახელმწიფოს მთლიანი ორგანიზმისა, იქ პოლიტიკური ბრძენი და პოლიტიკურად სავსებით უმეცარი მასა არ არსებობს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რად სჭირდება ადამიანს უსათუოდ თავისთავზე სახელმწიფოს ხელისუფლება მიიღოს და ამით გახდეს ქვეშევრდომი? სპინოზას ეთიკის აღნიშვნით ადამიანის არსებობის მიზანი ხომ თავისუფლებისაკენ ტრფიალია და არა ქვეშევრდომად გახდომა! სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იდეალად სპინოზას თუმცა დემოკრატია მიაჩნია, მაგრამ ის, როგორც თითქმის ყველა მისი თანამედროვენიც, ანარქიზმსა და მონარქიზმს შორის, რასაკვირველია, მონარქიზმს აირჩევს.

საქმე იმაშია, რომ ადამიანში ორი სათავე სჩქეფს, ერთჯერ ის არის ბუნებრივ ძალის ობიექტი, მეორეჯერ კი ის არის პოლიტიკური ცხოველი. ადამიანები, როგორც ბუნების ობიექტები, მოქმედობენ და აზროვნობენ აფექტების მიხედვით. ეს იწვევს ინტერესთა წინააღმდეგობას, ბრძოლას და სხვ. მეორე მხრივ კი ადამიანმა, როგორც პოლიტიკურმა ცხოველმა, გამოცდილებით იცის, რომ ეს უთავბოლო ბრძოლა მავნებელია სწორედ იმისათვის, რაც ყოველი ადამიანური ბრძოლის მიზანს შეადგენს; მერე სად უნდა მოწესრიგდეს ეს წინააღმდეგობა? ცხადია, ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, რომელიც შესძლებს რეგულიატორის როლი ითამაშოს და ადამიანის

ბუნებრივ ძალთა მოძრაობა კანონის, ე. ი. გონების ძალას დაუქვემდებაროს. ასეთი ორგანიზაცია კი არის სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოიშობა სწორედ იმისათვის, რომ მოქალაქე დაიცვას და მისცეს მას საშუალება დასძლიოს აფექტი და ემსახუროს გონებას. ამიტომაა რომ ადამიანის ბუნებრივ სამართლიანობის იდეას ყოველთვის პოლიტიკური სამართლიანობა ემატება და სახელმწიფო, როგორც ამ უკანასკნელის განხორციელება, არის თავისთვის ჩამოყალიბებული ორგანიზაცია.

თუმცა სახელმწიფო კოლექტივის ცნებაა, მაგრამ ის მოქმედობს, როგორც ერთი მთლიანი ინდივიდი და ცდილობს თავისი არსებობა ყოველმხრივ უზრუნველჰყოს და შეინარჩუნოს. აქედან ხშირად წამოიჭრება კონფლიქტი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. ასეთი კონფლიქტის მოგვარების დროს სპინოზა ყოველთვის სახელმწიფოს მხარეზე დგას. მაგრამ სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია ისე მოაწყოს, რომ მოქალაქის ბუნებრივი უფლებანი, ე. ი. თავდაპირველად თავისუფლების ტრფობა უხეშად არ შეულახოს და ყველას თვისი წვლილი ერგოს. ერთი სიტყვით, ქვეშევრდომი უნდა იყოს მოქალაქე და არა ყურმოჭრილი მონა. „რომ შესაძლებელი იყოს ადამიანებს ისე წაართვათ მათი ბუნებრივი უფლებანი, რომ მომავალში ვერავინ ვერაფერი მოიმოქმედოს იმათი სურვილების წინააღმდეგ, ვინც სათავეში მოხვედრილა და უმაღლესი უფლება ხელთ აუღია, მაშინ შესაძლებელი იქნება ქვეშევრდომებზე უსასტიკესი და უმკაცრესი ბატონობა და ამი-

სათვის პასუხს არავინ არ აგებდა“ (იხ. „პოლიტ.-თეოლ. ტრაქტატი“ თავი, XVII). მაგრამ საქმე იმაშია, რომ გონიერ სახელმწიფოს ასე არ შეუძლია მოიქცეს, თუ ასე მოიქცევა, ის ჰკარგავს უფლებას იყოს ორგანიზაცია ადამიანთა კეთილდღეობისა და იქცევა ბოროტებად.

ამიტომ სპინოზა მოითხოვს სახელმწიფოსაკან, რათა მან მოქალაქეს დაუტოვოს იმდენი უფლება, რადენიც მას უსათუოდ სჭირია, რათა იყოს თავისუფალი მოქალაქე. უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეს უნდა მიენიჭოს „ფილოსოფოსობის თავისუფლება“, ე. ი. თავისუფლება სიტყვისა და მსჯელობისა. გონიერ სახელმწიფოში „ადამიანები ისე უნდა იქცეოდენ, რომ თავისუფლად და საქვეყნოდ აღიარებდენ სხვადასხვა საწინააღმდეგო აზრებს, მაგრამ მაინც ერთსულოვნად ცხოვრობდენ“. ის სახელმწიფო, რომელიც ყველა ამ მოთხოვნილებას საუკეთესოდ განახორციელებს დემოკრატიული იქნება. სპინოზაც დემოკრატიის პირველი მესიტყვეა ახალს დროში.

სპინოზა არამც თუ ფილოსოფიური დოქტრინების სფეროში იყო დიდი ფრანგი რევოლიუციონერების წინამორბედი, არამედ ის მათი წინამორბედია თვით სოციალ-პოლიტიკურ იდეალების გაგებაშიაც. სპინოზას სწავლა სახელმწიფოს შესახებ უსათუოდ ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური იყო დიდი რევოლიუციის სოციალ-პოლიტიკური იდეალებისა. პოლიტიკური სიბრძნე სპინოზამ ჰობბსისაგან ისწავლა, მაგრამ ის აქ არ შეჩერდა, ისე როგორც ბურჟუაზიის რევოლიუცია ინგლისში დაიწყო, მაგრამ სრულქმნილი სახით საფრანგეთში დამთავრდა.

მაგრამ უკანონო იქნებოდა სპინოზაში მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგი დაგვენახა. ის, რასაკვირველია, როგორც მოწინავე მოაზროვნე თავისი ეპოქისა და მაშინდელი ჰოლანდიელი მოქალაქე, კარგად ხედავს მომდინარე ბურჟუაზიულ კულტურას, და ამ კულტურის დამახასიათებელ მომენტებს გამოხატავს, მაგრამ სპინოზა როგორც ყველა სხვა გენიოსი, აფართოებს ამ კლასის სოციალ-პოლიტიკურს, ან სხვა მსგავს იდეალს და საკაცობრიო მოტივებისაკენ იხედება. ამას საუცხოოდ გვიჩვენებს ზოგადი პრინციპები სპინოზას სახელმწიფოს მოძღვრებისა. სახელმწიფო კოლექტიური სამართალის იდეაა, მაგრამ ეს „კოლექტივიზაცია“ სპინოზას ესმის უფრო ფართოდ, ვიდრე ამას რომელიმე ცალმხრივი ბურჟუაზიული იდეოლოგი გაიგებდა.

სახელმწიფოში ცხოვრება აუცილებელია თავისუფლების მოყვარულ ადამიანისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსათუოდ თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს. მაგრამ ნამდვილი თავისუფლება გარეშე აუცილებლობიდან გამომდინარეობისა არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ არც ერთი ეთიკური ღირებულება თავისთავად და განყენებულად არ არსებობს, მაგ. არ არსებობს განყენებული ბოროტება, ან განყენებული სიკეთე— თვითეული არის კონკრეტიული და თან დიალექტიური, ე. ი. ერთი მეორედან გამომდინარე და ერთი მეორეს ადგილის შემცვლელი ვითარება. ერთ წერილში სპინოზა სწერს, რომ თავისუფლება მისი გაგებით არის ის, რაიც აუცილებლობის შეგნებიდან გამომდინარეობს, ამიტომ-

თავისუფლებისა და აუცილებლობის შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა. „თავისუფლება თვითნებობას კი არ ნიშნავს, არამედ თავისუფალ აუცილებლობას“—გვასწავლის ჰოლანდიელი ბრძენი.

გონების ძლიერების გამარჯვება, ე. ი. ფილოსოფიის უკანასკნელი იდეალის მიღწევა, ნიშნავს სწორედ ამის შეგნებას და ამის მიხედვით პრაქტიკულ მოქმედებას. მორალური ადამიანი მარადიულად თავისუფლებისაკენ ილტვის, მაგრამ, რადგან ის ამავე დროს გონიერი ადამიანია, ამიტომ ის თავისუფლებას აუცილებლობას უფარდებს. ამიტომაა, რომ სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს ადამიანის ამ მორალურ მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს და აწესრიგებდეს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს თვითეულმა წევრმა და თან რა უნდა კეთდებოდეს თვითოეული წევრის მიმართ.

კოლექტივის იდეა საუცხოოდ ნათელჰყოფს იმ დიალექტიურ კვანძს, რომელიც თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის არსებობს: „თუ ორი ერთბუნებიანი ინდივიდი შეკავშირდება, მაშინ იქმნის ერთი ახალი ინდივიდი, რომელიც ორჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე თვითეული ცალცალკე. ადამიანისათვის არაფერი არ არის უფრო საჭირო, ვიდრე ადამიანი“,—ვკითხულობთ „ეთიკაში“ (VI. 18. შენიშვნა).

ამრიგად, სპინოზას ეთიური იდეალი პრაქტიკულად კოლექტიურ სახელმწიფოს იდეალში გადადის. „ეთიკის“ ავტორმა ძალიან კარგათ იცის, რომ ეს სწორედ „იდეა-

ᲬᲘᲚᲘ 40 ᲚᲐᲠᲘ.

1
Გ 599